ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 26 თებერვალი, 2019 | №47 (8001) | ფასი: 60 თეთრი

მალხაზ კობაური: „რომ დავუმიზნე, მიტრიალდა და მაგ დროს ვესროლე ბეჭებში, მერე თავში ვესროლე“



გვ.7

26 თებერვლიდან

თედო რაზიკაშვილი

მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

რუსთავი 2-მა მწყემსის დაკითხვის კადრები აჩვენა

ივანიშვილი ვადამდელ არჩევნებს ნიშნავს

გვ.2

„ბიძინა ივანიშვილი ძველებს ყველა ვარიანტში მოიშორებს“



გვ.3

მამუკა გამყრელიძე: „გაერთიანებულ ოპოზიციას და ევროპულ საქართველოს შეუძლიათ ვითარების შეცვლა“

გია ჭორჭოლიანი უმრავლესობიდან გასვლაზე ფიქრობს

„2 კვირის შემდეგ გვეცოდინება, ვრჩებით უმრავლესობაში თუ არა“

გვ.3

გვ.4

ზაალ ანჯაფარიძე: „ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენის უფლება დასავლეთმა არ მისცა“

გვ.5

რატომ მალავს განათლების სამინისტრო ჩაჭრილი მასწავლებლების რაოდენობას

მარიამ ქელბაქიანი: „საატესტატო გამოცდების გაუქმება ამომრჩევლის მოსყიდვაა“

ლევან ჩაჩუა: „პარლამენტი იწყებს კანონპროექტის განხილვას, რომელიც ეკლესიას დიდ დარტყმას მიაყენებს“

„ქართული ოცნების“ მომხვეჭელობა უსაზღვროა“

გვ.5

გვ.6

თამარ ლალიაშვილი: „მოსამართლეებმა უნდა დაასაბუთონ, საიდან იშოვეს ამდენი ქონება“

სამართალი



გვ.7

ინტერნეტში ბათუმის სკოლის მოსწავლეების პირადი ცხოვრების კადრები გავრცელდა

მირზა სუბელიანი სასამართლო პატიმრობაში დატოვა

გიორგი ონიანის სასამართლო 4 მარტისთვის გადაიდო

ISSN 1987-9385

4 წულუკიანი: „სპეკულაციაა, რომ თიბისის საქმეში თითქოს რუსეთის ხელი ურევია“

6 არასამთავრობო სექტორი სასამართლო სისტემიდან მინიმუმ 10 მოსამართლის გაშვებას ითხოვს

5 „მასწავლებელი მოსწავლის მიმართ მკაცრი არ უნდა იყოს“

3 ტელეკომპანია „ენ-ტე-ვეს“ თანადამფუძნებელი იგორ მალაშენკო ესპანეთში გარდაცვლილი იპოვეს

ივანიშვილი ვადამდელ არჩევნებს ნიშნავს

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ ისევ დიდი ამბებია. იმდენად დიდი, რომ ბიძინა ივანიშვილი იძულებულია, სიტუაციის მომგვარებლად იმუშაოს. ადრე ეს საქმე კარგად გამოსდიოდა, მაგრამ ბოლო დროს ძველებურად ვეღარ ქაჩავს. ამიტომაც უხმო დასახმარებლად გოგა ხაინდრავას.

ხაინდრავას შუშის სასახლეში გამოჩენამ ივანიშვილის მთავრობის ყოფილ წევრს, სანდრო ბრეგაძეს გასული საუკუნის 90-იანი წლები გაახსენა. მისი თქმით, „ოცნების“ ლიდერი დაეცა, რადგან ხაინდრავას თანამოაზრედ გადაიქცა.

– ხაინდრავას გადასარჩენი გახდა ბიძინა! 90-იანების მოსკოვური „რაზბორკები“ მიდის შუშის სასახლეში! ხაინდრავა „უიასნებს ბაზარს“ ყველას! რა დროს არ არის ჯაბა ცოცხალი, თორემ ის იქნებოდა ბიძინას „გლავნი გამაიასნებელი“!

სახელმწიფო კი არა, კრიმინალური კარტელია! ეეეჰ ბიძინა, ბიძინაა, რა დონეზე დაეცი?! გული მწყდება – კაცს ნიკო ნიკოლაძეობაზე გქონდა პრეტენზია და ხაინდრავას „პადდელნიკად“ იქეცი? – დაწერა სანდრო ბრეგაძემ სოციალურ ქსელში.

ხაინდრავას გარდა, ივანიშვილის შუშის სასახლეში მივიდნენ „ოცნების“ მთავარი იდეოლოგი ლაშა ნაცვლიშვილი და გრიგორ კარასინთან დიალოგების მწარმოებელი ზურაბ აბაშიძე.

შუშის სასახლეში „ოცნების“ დეპუტატებსაც უხმეს. ივანიშვილი რომ მათთან შეხვედრებს 25 თებერვლიდან დაიწყებდა, ეს რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი.



პარტიის თავკაცისა და მისი ხელქვეითების მრავალსაათიანი კონსულტაციების მიუხედავად, მაინც არ არის ნათელი, რა ხდება მმართველ პარტიაში. დეპუტატები ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკონ.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის მთავარი მეოცნებე რიგით მეოცნებეებთან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესაძლებლობებს განიხილავდა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილი მიიჩნევს, რომ სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ ასე შეიძლება, ამაში მას მეოცნებეთა ნაწილიც ეთანხმება. თუმცა ისინი საჯარო კომენტარებში არც ამ და არც სხვა თემებზე დეტალურად არ საუბრობენ.

„ოცნების“ ლიდერთან რუსეთთან ურთიერთობის საკითხში პრემიერის წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის მისვლამ ბევრი კითხვა გააჩინა. თავად აბაშიძე ამბობს, რომ შეხვედრას საინფორმაციო დატვირთვა ჰქონდა და პრაღაში გამგზავრების წინ პარტიის ლიდერთან ისაუბრა.

აბაშიძის თქმით, ინიციატივა, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერს შეხვედროდა, მისგან წამოვიდა.

ოპოზიციას ეს საინფორმაციო შეხვედრა ცუდად ენიშნა. დეპუტატი რომან გოცირიძე ამბობს, რომ უმჯობესი იყო, აბაშიძეს პირდაპირ ეთქვა, რომ შეხვედრის მიზანი რუსული თემების განხილვა იყო.

– ზურაბ აბაშიძე არის პრემიერ-მინისტრის კადრი და არა პარტიის თავმჯდომარის. თანაც არაა პარტიის წევრი. რატომ იბარებს მას ივანიშვილი შუშის სასახლეში?

ხვალ ჟენევის მოლაპარაკებაა და იმიტომო, აბაშიძემ. ეს რა არგუმენტია? უმჯობესია ეთქვა, დაგვიგროვდა რუსული თემებიო: გაზპრომი, აფხაზეთის რკინიგზა, თიბისი, ანაკლიის პორტი და ა.შ, – აცხადებს რომან გოცირიძე.

შუშის სასახლეში ის დეპუტატებიც იყვნენ, რომლებმაც ბესელიას კანონპროექტს დაუჭირეს მხარი და ამის გამო მთავარი მეოცნების რისხვა დაიმსახურეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ივანიშვილს საკმაოდ მძიმე საუბარი ჰქონდა დეპუტატ ზაზა პაპუაშვილთან. ამბობენ, რომ ის მთავარ მეოცნებეს დავმუქრა კიდევაც. ამბობენ, რომ ეს 22 თებერვალს მოხდა. მთავარმა მეოცნებემ დეპუტატები იმ დღესაც დამოძღვრა და დატუქსა.

ნიუპოსტის წყაროს ცნობით, ექსპრემიერმა კობახიძის მხარე ღიად დაიკავა, რამაც ზაზა პაპუაშვილის გაღიზიანება გამოიწვია, რომელმაც საკუთარი მოსაზრება ივანიშვილს გააცნო და შეახსენა, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში სწორედ ძველებმა მოიყვანეს.

ივანიშვილთან საუბარს ადასტურებს თავად ზაზა პაპუაშვილი, თუმცა მუქარას უარყოფს. დეპუტატი ამბობს, რომ ივანიშვილთან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა:

– მე არ ვიცი, რა ინფორმაციას ეყრდნობით, რა ჩიტები გყავთ, მაგრამ საუბარი ხშირად ყოფილა, ვსაუბრობთ თემებზე, რომელიც მომავალს უფრო დაალაგებს და რაღაც ხარვეზებს გამოასწორებს. ბევრია შიგნითა საუბრები, რომლებიც გარეთ გამოდის...

თქვენ ახლა აჯაფსანდალი შემომთავაზეთ, რაც ჩამოთვალეთ, ბევრ რაღაცაზე საუბარი არ ყოფილა. იყო საუბარი იმაზე, როგორ უნდა დამთავრდეს ეს მოსამართლეების დანიშვნის თემები. ეს იყო იდეების მიწოდება, – უთხრა ნიუპოსტს პაპუაშვილმა.

დეპუტატი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ ის „ქართული ოცნებიდან“ წასვლაზე არ ფიქრობს.

პარტიიდან გარიცხვის ან საკუთარი ნებით საპარლამენტო უმრავლესობის დატოვების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო დეპუტატმა ოთარ ჩრდილელმაც. მისი თქმით, ამ თემაზე საუბარი არც 25 თებერვალს ყოფილა.

– არა, არ ვტოვებ უმრავლესობას. ეს ისეთივე ცრუ ინფორმაციაა, როგორც ის, რომ მრიცხავდნენ „ქართული ოცნებიდან“, – უთხრა შუშის სასახლიდან გამოსულმა დეპუტატმა ჟურნალისტებს.

შუშის სასახლის დახურულ შეხვედრაზე იმყოფებოდა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე. რომელიც „ოცნებაში“ მიმდინარე დაპირისპირებაში არ ერევა და მხოლოდ ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლება.

მთავარ მეოცნებესთან საუბრის შემდეგ თალაკვაძემ ჟურნალისტებს სიამაყით უთხრა, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში ფლობს და შეინარჩუნებს მყარ უმრავლესობას საპარლამენტო არჩევნებამდე.

მისივე თქმით, დღის წესრიგში არის რთული პოლიტიკური საკითხები, რომლებსაც მმართველი პარტიის მხრიდან სჭირდება სათანადო გადაწყვეტილებების მიღება.

– ეს არის მეტწილად მმართველი პარტიის პასუხისმგებლობა და სწორედ ამას უკავშირდება ის, რომ განსხვავებული პოზიციები და არგუმენტები გვესმის. შესაძლოა, ეს იყოს რთული გარდაქმნების პერიოდი, მაგრამ „ქართული ოცნება“ პარლამენტში ფლობს და შეინარჩუნებს მყარ უმრავლესობას საპარლამენტო არჩევნებამდე, – განაცხადა თალაკვაძემ.

* * *

სანამ ივანიშვილი ხაინდრავას რჩევებით „ოცნებას“ ალაგებს, პარტიიდან ოფიციალურად წასული ეკა ბესელია ახალ საპარლამენტო ფრაქციას ქმნის.

დეპუტატის თქმით, მან უკვე დაიწყო კონსულტაციები. ფრაქციის შესაქმნელად მას მინიმუმ 5 დეპუტატი დასჭირდება. რეგლამენტის თანახმად, ფრაქციის შესაქმნელად მინიმუმ 6 კაცია საჭირო.

ამ 6 კაცის არარსებობის გამო საპარლამენტო ფრაქცია დაეშალა პატრიოტთა ალიანსს. ფრაქცია დავით ჭიჭინაძემ დატოვა. არადა რამდენიმე თვის წინ ის ალიანსში მხოლოდ იმიტომ შევიდა, რომ მათი ფრაქცია დაშლისგან ეხსნა.

ალიანსი დაშლის წინაშე ნატო ჩხეიძის გამო აღმოჩნდა. ნატო ჩხეიძემ ალიანსი რამდენიმე თვის წინ დატოვა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მისმა თანაპარტიელებმა მის მეუღლე ზაზა ოქუაშვილს მხარი არ დაუჭირეს. ოქუაშვილის საშემოდგომო სკანდალები კი ყველას გემახსოვრებათ.

ეკა ბესელიას ფრაქციისთვის ისეთ ადამიანებს ეძებს, ვისთვისაც მთავარი მართლმსაჯულების აღდგენაა.

– მე დავიწყე კონსულტაციები ყველა იმ ადამიანთან, ვინც შეიძლება იყოს მოაზრებული ამ ახალი პოლიტიკური პლატფორმის ქვეშ. ეს პირველ რიგში გულისხმობს გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც თემატურად გაერთიანდება პირველ ეტაპზე და ეს თემა პირდაპირ უკავშირდება მართლმსაჯულების რეფორმას და სამართლიანობის პროცესს. თემატურად შეგვიძლია ვითანამშრომლოთ მათ შორის სოციალ-დემოკრატებთანაც. მე ვიცი, რომ ისინიც ფიქრობენ ამაზე, არ გამოვრიცხავ, რომ მალე მოხდეს ეს, – აღნიშნა ბესელიამ.

დეპუტატის თქმით, საპარლამენტო უმცირესობა მას შემდეგ დაიშლება, რაც უმრავლესობას კიდევ ერთი დეპუტატი გამოაკლდება.

– უმცირესობა დაიშლება, ერთი დეპუტატი როგორც კი გამოვა უმრავლესობიდან, ის შექმნილ უმცირესობას ავტომატურად დაშლის, იმიტომ, რომ რაოდენობრივად იქნება თანაბარი უმცირესობაში მყოფი დეპუტატები და უმრავლესობის გარეთ მყოფი დეპუტატები. ასე რომ, ახალი უმცირესობა როდის შეიქმნება, არ ვიცით, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

კიდევ ერთი დეპუტატი, ვინც შესაძლოა, უმრავლესობის რიგებს გია ჟორჟოლიანთან და მირიან წიკლაურთან ერთად გამოაკლდეს, რუსლან პოღოსიანია.

პოღოსიანი ეკა ბესელიასა და ლევან გოგიჩაიშვილის თანამოაზრე დეპუტატთა შორისაა. პარლამენტში არსებული დაუდასტურებელი ინფორმაციით, უმრავლესობიდან წასასვლელად პოღოსიანიც ემზადება.

ინტერპრესნიუსმა რუსლან პოღოსიანთან დაკავშირება ვერ შეძლო, თუმცა, როგორც საგენტოს გია ჟორჟოლიანმა განუცხადა, „რუსლანი იმ დეპუტატთა შორის არის, ვისთანაც ამ საკითხზე მიდის მსჯელობა“.

* * *

დაშლის პირას არის საპარლამენტო უმცირესობაც. მისი გადარჩენა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ გაერთიანდებიან.

ყოფილი ხელისუფლება ჯერ შეერთებას არ ჩქარობს, ამბობენ, რომ უმცირესობის სტატუსი ბევრს არაფერს ნიშნავს.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე ამბობს, რომ ამ ეტაპზე კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

მისი თქმით, პარტიას დღის წესრიგში სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი აქვს. მისივე განცხადებით, პარტია სამ ფრაქციას ფლობს და ამის ფონზე უმცირესობის სტატუსი, ფაქტობრივად, არაფერს ცვლის.

ინტერპრესნიუსთან საუბარში კაპანაძე აღნიშნავს, რომ პარლამენტში მხოლოდ „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობაა ის ძალა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს რეალურად უპირისპირდება.

– უმცირესობის თემა ჩვენთვის, არსებული დღის წესრიგის თემებიდან მეასეხარისხოვანია. ეს არის უბრალოდ სტატუსი, რომელსაც ამ წუთებში „ევროპული საქართველო“ ფლობს და თუ ეს სტატუსი აღარ გვექნება, ამით არაფერი დაშავდება. გვაქვს სამი ფრაქცია, რომელიც გვაძლევს საკმარის დროს გამოსასვლელად და ზოგადად საკანონმდებლო საქმიანობის გასაგრძელებლად.

უმცირესობის დაკარგვა ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობას აკლდება დეპუტატები და თუ ასე მოხდა, კარგია, რადგან „ქართული ოცნება“ სუსტდება. რაც შეხება კონსულტაციებს ნაციონალურ მოძრაობასთან, მზად ვართ, რომ ამ თემაზე კი არა, სხვა თემებზეც გავმართოთ კონსულტაცია, ვინაიდან დღეს პარლამენტში წარმოდგენილი ჯგუფებიდან მხოლოდ ჩვენ და ნაციონალური მოძრაობა ვუპირისპირდებით ივანიშვილს, – აღნიშნა სერგი კაპანაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ბიძინა ივანიშვილი ძველებს ყველა ვარიანტში მოიშორებს“

მამუკა გამყრელიძე: „გაერთიანებულ ოპოზიციას და ევროპულ საქართველოს შეუძლიათ ვითარების შეცვლა“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ძალა ერთობაშია“-ს ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გამყრელიძე** განიხილავს.

– ბატონო მამუკა, გასული კვირა დატვირთული იყო პოლიტიკური მოვლენებით. გვესმის შეფასებები, რომ უკვე გარდაუვალია „ქართული ოცნების“ დაშლა. რეალურად რა პროცესი დაიწყო?

– იცით რა, მე ამას დაშლას ვერ ვუწოდებდი, ისევე, როგორც თავის დროზე ნაციონალური მოძრაობის დაშლა არ ყოფილა, ეს იყო ერთგვარი გადაჯგუფება. უბრალოდ მოდის ის დრო, როდესაც სახელისუფლებო პარტია ბეზრდება ხოლმე ხალხს. კარგია ის, ცუდია, ამას მნიშვნელობა არა აქვს. 8-10 წელი ეს მიღებული სტანდარტია და, როგორც ჩანს, აქ ერთგვარი დასწრება მოხდა მოვლენების.

– ეკა ბესელიამ მოვლენებს დაასწრო?

– ძალიან მომეწონა სერგი კაპანაძის ტერმინი – პროტოქოცებიო, ასე თქვა ეკა ბესელიაზე და ავიტაცე, ისე მომეწონა. ანუ პირველადი ქოცები, ვინც იყვნენ ამ „ოცნების“ დამფუძნებლები, გარკვეულწილად ჩრდილში მოექცნენ და გადაწყვიტეს, სახეც შეენარჩუნებინათ და თან თავი შეეხსენებინათ ბიძინა ივანიშვილისთვის.

დღეს ერთადერთი დაფინანსების წყარო გახლავთ ბიძინა ივანიშვილი და მის გარშემო მყოფი ბიზნესმენები, სხვა პოლიტიკური დაფინანსება არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ბიუჯეტიდან დაფინანსებას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეკა ბესელიამ კარგი მომენტი დაიჭირა, ხალხისთვის მიუღებელი მოსამართლეები და ეს გამოიყენა ერთგვარ რუპორად იმისთვის, რომ აი, მე აქ ვარ, ბატონო ბიძინა და ყურადღება მომაქციეთო.

– ჩააჩოჩეს ძველები და თავის შეხსენების მცდელობა ჰქონდათ?

– მომავალი არჩევნებისათვის ყველა ცდილობს სათავისოდ. ჩემი აზრი ასეთია, რომ ამ ძველებს ბიძინა ივანიშვილი ყველა ვარიანტში მოიშორებს. მიუხედავად იმისა, რომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, ეკა ბესელია ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე კობახიძე იქნება თუ დანარჩენი ახალი სახეები, აჯობა ამ ახალგაზრდების ჯგუფმა ძველებს.

ივანიშვილი ამ ახალგაზრდების ჯგუფს კიდევ ვიღაც ახლებს დაუმატებს და ამ ახალგაზრდებით შეცვლის „ქართულ ოცნებას“. არც ის არის გამორიცხული, რომ სწორედ „ქართული ოცნებიდან“ შექმნას ჯიბის ოპოზიცია, ძველებიდან, იმიტომ, რომ ირმა ინაშვილი მას აღარ აკმაყოფილებს, ოდიოზურია ძალიან. ხომ ნახეთ, რომ ინაშვილის კანონპროექტს მხარი „ქართულმა ოცნებამ“ არ დაუჭირა. ყველა ძალიან კარგად მიხვდა რომ ეს სისულელე იქნებოდა. შესაბამისად, ინაშვილიც ჩააჩოჩეს.

– ხელოვნურ ოპოზიციას ქმნის ივანიშვილი ბესელიას და მისი თანამოაზრეების სახით?

– დააკვირდება, ნახავს, ვინ ჯობია, ვინ არ ჯობია, შესაძლოა, ახალი გადაჯგუფება გააკეთოს. ვიღაცას წამოწევს, ვიღაცას გვერდზე გასწევს. მას სურს, შეინარჩუნოს ის პოზიცია, რაც ახლა აქვს. თანხებიც, მაგას რომ აქვს, იმდენი უნდა. ამ ფონზე ჩვენ რასაც ვხედავთ, ოპოზიცია არის ძალიან პასიური და ამ მომენტს, როდესაც ოპოზიცია პასიურია, იყენებს სახელისუფლო პარტია.

ისიც იციან, რომ ამ სახით ვეღარ დარჩებიან, რადგან ხალხში გაღიზიანება ძალიან დიდია, ამიტომ მოახდენენ რაღაც რეკონსტრუქციას თავისი ორგანიზაციისას და ახლის გაკეთებას შეეცდებიან.

რამდენიმე მცდელობაც იყო უკვე. მე არ მჯერა ისეთი პარტიების, როგორიც არის, მაგალითად, მშენებლები გამოჩნდნენ თუ მაშენებლები. უსუფაშვილის პარტიას ვგულისხმობ, ასევე ალეკო ელისაშვილის. როდესაც ვიკითხე, საიდან არის ეს დაფინანსება? ვიღაცა ბიზნესმენებმა მხარი დამიჭირესო. ღმერთმა გაუმარჯოთ, რაც მეტი ოპოზიციური პარტია იქნება მით უკეთესი, მაგრამ ივანიშვილის გარეშე ვერც ერთი ბიზნესმენი ამ ქვეყანაში ოპოზიციის დაფინანსებას ვერ ბედავს!

– ახალი ძალის გამოჩენის შანსი რამდენად არის? ითქვა ისიც, რომ გაბრაზებული მამუკა ხაზარაძე შესაძლოა პოლიტიკაში წავიდეს. ამაზე რას იტყვით?

– ვერ გაბედავს, გამორიცხულია! თუ გინდათ დაგენიძლავებით, ხაზარაძე ვერ გაბედავს პოლიტიკაში წასვლას, ვერავითარ შემთხვევაში. მას რომ ჰქონოდა ამისი უნარი, ის ამას აუცილებლად ამ სიტუაციამდე გააკეთებდა და დაასწრებდა ამ მოვლენებს. მაგრამ ვერ გააკეთა, რადგან ვერ გააკეთა, ის უბრალოდ შეეცდება, რომ კიდევ უარესი არ დაემართოს.

არიან უფრო ამბოხებული ბიზნესმენები, როგორიც, მაგალითად, ოქუაშვილია, რომელმაც შეიძლება დააფინანსოს ოპოზიცია და არც არის საიდუმლო, რომ ის ინაშვილის პარტიას აფინანსებდა, რადგან მისი მეუღლე ამ პარტიიდან იყო წარმოდგენილი დეპუტატად. თუმცა, ის ძალიან შეზღუდულად ურთიერთობს პოლიტიკურ პარტიებთან.

– ანუ ბიზნესი დღეს შეშინებულია?

– ასეა. სანამ არ მოხდება სერიოზული ძვრა საზოგადოების მხრიდან, ხალხი უნდა გაბრაზდეს, ხალხი უნდა გამოვიდეს, ხალხმა პროტესტი უნდა გამოხატოს. სხვანაირად, უბრალოდ, ეშინიათ ბიზნესმენებს, რადგან რომ დაიწყო ვიღაცის დაფინანსება და მერე მათ ხალხისგან ვერ მიიღონ მხარდაჭერა, მერე ეს ბიზნესმენები ფულსაც დაკარგავენ და თავსაც. დაკარგავენ ყველაფერს.

– არ არის საზოგადოებაში ის განწყობა, რომ ახალი ტალღა აგორდეს?

– არა, არ არის. მე ვერ ვხედავ, დღეს სიტუაცია რომ აქეთ მიდიოდეს.

– 2020-მდე არის ამ სიტუაციის შეცვლის შანსი?

– მე მგონია, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას და ასევე ევროპულ საქართველოს აქვს სერიოზული შესაძლებლობა, შეცვალონ არსებული რეალობა და პროცესებზე ზეგავლენა მოახდინონ. ამის დიდი გამოცდილებაც აქვს, ინფრასტრუქტურაც და უნარიც, ლიდერებიც ჰყავთ და ყველაფერი აქვთ, რაც სჭირდებათ. ერთადერთი ფინანსების საკითხია პრობლემური, რამდენად აქტიურად შეძლებენ ისინი ამ პროცესში შესვლას.

მე მაინც მგონია, რომ სწორედ ეს ორი პარტია იქნება წარმმართველი ოპოზიციური ველისა. ასევე ვფიქრობ, რომ გაერთიანებული ოპოზიციის გამსხვილება ისევ გაგრძელდება. თუ ეს ორი ძლიერი პოლიტიკური ძალა ითანამშრომლებს ერთმანეთთან, 2020 წლისთვის მათ შეიძლება სერიოზულ წარმატებას მიაღწიონ.

– ფიქრობთ, რომ გაერთიანდებიან?

– არა, ასე არ ვფიქრობ, ისინი ვერ გაერთიანდებიან და არც უნდა გაერთიანდნენ, რადგან ორი მხრიდან შეტევა „ქართულ ოცნებაზე“ ძალიან სერიოზული შედეგების მომცემი შეიძლება იყოს.

მე მრავალფეროვნებას მივესალმები პარლამენტში. დარწმუნებული ვარ, რომ გაყალბება ისევ იქნება, „ქართული ოცნება“ ამას არ მოეშვება და მაშინ საბოლოო სიტყვა უკვე საზოგადოებაზე იქნება. თუ საზოგადოება ჩათვლის, რომ ხახვი, კარტოფილი და ძველი ვალების გასტუმრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელისუფლების ცვლილება უკეთესობისკენ, მაშინ ეს მისი არჩევანი იქნება.

გია ჟორჟოლიანი უმრავლესობიდან გასვლაზე ფიქრობს

„2 კვირის შემდეგ გვეცოდინება, ვრჩებით უმრავლესობაში თუ არა“

ნათია ხურცილავა

სოციალ-დემოკრატების თავმჯდომარე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **გია ჟორჟოლიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა.



– ბატონო გია, თქვენ როგორ აფასებთ „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებს. შეიძლება უმრავლესობიდან დეპუტატების გასვლის პროცესი გაგრძელდეს?

– მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას არა, მაგრამ უმრავლესობას შეინარჩუნებს. სხვადასხვა შეხედულებები არის დეპუტატებს შორის, მაგრამ ეს სადამდე მივა, როგორ ფორმას და სახეს მიიღებს და როგორ განვითარდება, ვერ გეტყვით.

– მართლა მოსამართლეების საკითხი იყო დეტონატორი ამ პროცესების თუ მოვლენები ისედაც ამ მიმართულებით განვითარდებოდა?

– ჩვენთვის მოსამართლეების საკითხი არ ყოფილა ერთადერთი ის საკითხი, რომელიც გადამწყვეტია. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია მოსამართლეების საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ დიდი ხანია, ჩვენ წინააღმდეგობები გვაქვს უმრავლესობასთან პირველ რიგში სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

– უფრო კონკრეტულად?

– მათ შორის სამართლიანი საგადასახადო სისტემაა. სამართლიანი საგადასახადო სისტემის შესახებ ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღების დროს არ იქნა სრულად გაზიარებული ჩვენი წინადადება, ნაწილობრივ იქნა გარდამავალ დებულებებში ასახული. ჩვენ სხვა კანონპროექტებიც გვაქვს, დღესაც კი ვაპირებთ, საკანონმდებლო ინიციატივით მივმართოთ პარლამენტს. ვნახოთ.

– თქვენი პარტიის წევრმა ბექა ნაცვლიშვილმა უმრავლესობა დატოვა და, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი, ისე აგრძელებს მუშაობას. პარტიაც დატოვა?

– ბექა ნაცვლიშვილმა ეს განცხადება დიდი ხანია გააკეთა, ახლა კი არ გააკეთა. მისთვის საპენსიო რეფორმა აღმოჩნდა გადამწყვეტი. კენჭისყრის დროს გამოვიდა, გააკეთა განცხადება და შესაბამისი ნაბიჯებიც გადადგა, რომ მისი განცხადების რეალიზება მოეხდინა. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას ვნახავთ უახლოეს ხანში.

– ბატონო გია, ბიძინა ივანიშვილი პარტიის წევრებს ხვდება, თქვენ გქონდათ უკვე შეხვედრა?

– დიახ, გიდასტურებთ, რომ დღეს მქონდა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა. არაერთხელ მქონია მსგავსი შეხვედრა.

– შეგიძლიათ გვითხრათ, რა საკითხები განიხილეთ?

– ის საკითხები, რაზეც ახლა გესაუბრებით.

– უფრო კონკრეტულად?

– გითხარით, რა საკითხებიც განვიხილეთ ამ შეხვედრაზე.

– მარტო იყავით ამ შეხვედრაზე თუ სხვა დეპუტატებთან ერთად?

– გითხარით, დაგიდასტურეთ, რომ ვიყავი ამ შეხვედრაზე. მეტი რა გითხრათ.

– მათ შორის მოსამართლეთა საკითხზეც ისაუბრეთ?

– დიახ, იმ საკითხებზე, რაზეც ახლა გესაუბრებით.

– 2020 წლისთვის „ქართული ოცნება“ ამ ფორმით მივა არჩევნებზე თუ პარტია სხვანაირად გადალაგდება?

– მე არ ვარ „ქართული ოცნების“ წევრი, შემიძლია ჩვენ თავზე გითხრათ. 2020 წლის არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას.

– კოალიციას ტოვებთ?

– უკვე გიპასუხეთ.

– ვაკონკრეტებ, რომ ეს თავისთავად ნიშნავს კოალიციიდან გასვლას?

– პარტია „სოციალ-დემოკრატები“ დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, თუ ვიღაცა მოვა და შეგვეხვეწება, არ ვიცი.

ჩვენ დიდი ხანია ვფიქრობთ, გავაგრძელოთ თუ არა უმრავლესობაში ჩვენი საქმიანობა. უმრავლესობას სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივით მივმართეთ. დღესაც ვაპირებთ კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივის შეტანას. ჩვენი უმრავლესობაში ყოფნა განპირობებული იყო იმით, რომ გვინდოდა, რადიკალურად შეგვეცვალა ის პოლიტიკა, რომელიც ინერციულად გრძელდება ნაციონალური მოძრაობის შემდეგ.

ერთ-ერთი მთავარი საკითხია სამართლიანი საგადასახადო სისტემის დამკვიდრება. მეორე – ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, სადაც სახელმწიფო ასრულებს ლოკომოტივის როლს, მათ შორის, სასამართლოს საკითხიც და განათლების პოლიტიკა, რომელიც მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ეკონომიკასთან.

2020 წლის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღება ახლა კი არ გადავწყვიტეთ, ადრეც გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ვფიქრობდით, სხვადასხვა გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა მოგვეხდინა და ეს საკითხები ახლავე ყოფილიყო მიღებული უმრავლესობის მიერ.

თუმცა, ამ მიმართულებით პერსპექტივას ვერ ვხედავთ. კიდევ შევიტანთ რამდენიმე კანონპროექტს და უახლოესი 2 კვირის განმავლობაში დაველოდებით განხილვას. ამიტომ, ჩვენ შევეცდებით, უფრო ფართო საზოგადოებაზე გავიდეთ და დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ. ეს იქნება ფრაქციის წევრთა გადაწყვეტილება. ვიღაცის შეიძლება დღეს იყოს, ვიღაცის ხვალ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– თქვენ რა კომენტარს გააკეთებთ თიბისის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე?

– ვერაფერს გეტყვით, შესაბამისი ინსტიტუტები ამ საკითხს სწავლობენ და, რასაკვირველია, მე ვადევნებ თვალყურს ყურადღებით.

ტელეკომპანია „ენ-ტე-ვეს“ თანადამფუძნებელი იგორ მალაშენკო ესპანეთში გარდაცვლილი იპოვეს

რუსი პოლიტოლოგი და ტელეკომპანია „ენ-ტე-ვეს“ თანადამფუძნებელი იგორ მალაშენკო ესპანეთში გარდაცვლილი იპოვეს. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება. ყოფილი მედიამენეჯერი 64 წლის იყო.

ზოგიერთი მონაცემებით, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თუმცა, ეს ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება. მალაშენკოს თვითმკვლელობის შესახებ სოციალურ ქსელში ტელეწამყვანმა ქსენია სობჩაკმა დაწერა, რომლის საარჩევნო შტაბს გასულ წელს, სწორედ მალაშენკო ხელმძღვანელობდა.

ტელეკომპანია „ენ-ტე-ვეს“ გენერალური დირექტორის თანამდებობას იგორ მალაშენკო 1993-97 წლებში იკავებდა, 1996 წელს კი ბორის ელცინის საპრეზიდენტო კამპანიაში მონაწილეობდა. ეკავა ასევე ტელეკომპანია „RTVi“-ს გენერალური დირექტორის თანამდებობაც.

იპნ

ზაალ ანჯაფარიძე: „ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენის უფლება დასავლეთმა არ მისცა“

იავო ნაცვლიშვილი

შესაძლოა „ქართული ოცნებიდან“ წამოსულმა დეპუტატებმა ეკა ბესელიამ, გედევან ფოფხაძემ და ლევან გოგიჩაიშვილმა პოლიტიკური პარტია შექმნან. ყოველ შემთხვევაში, მედიაში ამის შესახებ ინფორმაციები ჩნდება. ამას გარდა, შესაძლოა მათ შეუერთდნენ ბიძინა გეგიძე, ქეთი დოლიძე, ია მეტრეველი და გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი).

რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ჯერ არარსებულ პარტიას, დაიწყებს თუ არა მუშაობას სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, რაც „ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო და რამდენად რეალურია ვერსია, რომ ბესელიას გუნდისგან ოპოზიციას ბიძინა ივანიშვილი ქმნის? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძეს** ესაუბრა:

– ბესელია-ფოფხაძე-გოგიჩაიშვილის გუნდი გეგმავს, ახალი პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბონ, რომელშიც სხვადასხვა პირები შევლენ. რა პოლიტიკური პერსპექტივა აქვს ამ გუნდს?

– ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი რთულია. იქიდან გამომდინარე, რომ მათ თავისი განზრახვა ოფიციალურად ჯერ არ გამოუცხადებიათ. როდესაც ისინი გამოაცხადებენ ამას და რეალური კონტურები გამოიკვეთება, როცა იტყვიან, რითი მოდიან და რა სურთ, მაშინ შეიძლება ამაზე საუბარი.

– ისინი უკმაყოფილოები იყვნენ მთავარი დაპირების შეუსრულებლობის გამო, რაც „ოცნებას“ ჰქონდა – სამართლიანობის აღდგენა. ეს ხომ არ იქნება გამოყენებული, რომ საზოგადოება ამ ხედვით მიიმხრონ?

– ეს ხალხი მოახდენს სამართლიანობის აღდგენას თუ ხელისუფლებაში მოვა?

– დიახ, ამას ვგულისხმობ.

– კი, მაგრამ, საზოგადოების მხრიდან ამ ხალხის მიმართ ნდობა არის იმ დონის და მასშტაბის, რომ მათ გაყვნენ? შეიძლება ვიღაცას აქვს მათ მიმართ რაღაც სიმპათია, მაგრამ ეს არის ჩვენი საზოგადოების დიდი რაოდენობა, არის ის, რაც მათ შეიძლება შეიძინონ იმისათვის, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ და დაიწყონ ამ დაპირების განხორციელება?

მეორეა ის, რომ ამ დაპირების განხორციელება არ არის მარტივი საქმე, თორემ „ქართულ ოცნებასაც“ სურდა ამის განხორციელება, მაგრამ მას ამის უფლება არ მისცეს. შესაბამისად, ამის უფლებას არ მისცემენ ხელისუფლებაში მოსულ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას.

– ვინ არ მისცა ამის უფლება?

– ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– როდესაც აქ იყო ჩამოსული ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი. მან ღია ტექსტი თქვა მაშინდელი ახლად მოსული ხელისუფლების მისამართით, რომ მასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის კოჰაბიტაციის პერიოდი უნდა დაწყებულიყო. იქიდან წამოვიდა ეს ტერმინი.

– თუმცა მათ თანაცხოვრებაზე ისაუბრეს და არ უთქვამთ, რომ თუ ვინმე დამნაშავეა, არ უნდა დაისაჯოსო.

– მათ, რა თქმა უნდა, არ უთქვამთ ასეთი რამე, მაგრამ როგორც კი დაიწყეს გარკვეული ადამიანების პასუხისგებაში მიცემა, მაშინვე წამოვიდა ბრალდებები შერჩევით სამართალზე, პოლიტიკურ დევნაზე და ა.შ.

– ისიც ხომ ფაქტია, რომ პროკურატურამ ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულებები?

– გასაგებია, რომ პროკურატურამ ვერ წარადგინა, მაგრამ იყო კი ამის სურვილი და მცდელობა?! უამრავი საქმე დევს თაროზე შემოდებული, რამდენადაც ინფორმირებულმა ადამიანებმა ვიცით.

– ანუ თქვენ ამას უკავშირებთ დასავლელ პარტნიორებს და არა „ქართული ოცნების“ თუ პროკურატურის უსუსურობას?

– მთავარი მაინც იყო ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების რჩევა, რეკომენდაცია თუ ზეწოლა, როგორც გენებოთ, ისე დაარქვით. მეორე რიგის ფაქტორი იყო თავად მაშინდელ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მყოფი ძალები. იგივე „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამას. ამას დაემატა ისიც, რომ პროკურატურაში დარჩენილი იყვნენ ძველი კადრები და არც მათ სურდათ, ამ მხრივ შედეგი დამდგარიყო, იმიტომ, რომ მათი პასუხისმგებლობის შედეგიც დადგებოდა. იმიტომ, რომ იგივე პროკურორები ახდენდნენ საქმეების ფაბრიკაციას.

– ერთ-ერთი პირველი, ვისაც მაშინ ამ კონტექსტში ივანიშვილი შეხვდა, იყო მურუსიძე. თუ სწორად მახსოვს, 2013 წელს ხდებოდა ეს და მან მურუსიძე სისტემის მსხვერპლად გამოაცხადა. ეს რა იყო მაშინ?

– ეს იყო ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გააცნობიერა, რომ ამ დაჯგუფებასთან ღიად დაპირისპირებაში შესვლა და მათგან მართლმსაჯულების სისტემის გაწმენდა, ისე როგორც ეს თავის დროზე სააკაშვილმა გააკეთა, სახიფათო იქნებოდა. იმიტომ, რომ ამ ხალხს აქვს გავლენები, აქვს ბევრი ინფორმაცია და, შესაბამისად, „ოცნებამ“ გადაწყვიტა მორიგება მათთან, რომ ერთმანეთისთვის მისაღები თამაშის წესები შემუშავებულიყო. ამაზე ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, ეს არის ჩემი ვარაუდი.

– არის ვარაუდი, რომ ბესელიას გუნდი ბიძინა ივანიშვილმა გამოყო და თავის ოპოზიციას ქმნის, რომ ნაცმოძრაობას დაუპირისპიროს. რამდენად რეალური გგონიათ და რამდენად გამართლებულია შეთქმულების თეორიები?

– მოსმენილი მაქვს ეს ვერსია და ეს თეორია, მაგრამ ვიმეორებ, იმისთვის, რომ ამაზე ექსპერტული შეფასება გავაკეთოთ, საჭიროა მეტი ინფორმაცია. უნდა ვნახოთ დინამიკაში, როგორ წავა პროცესები. თუ ბესელიამ და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს პარტია, მისი მიმართულებით წამოვიდა ფინანსური ნაკადები, გაიხსნა მედიასაშუალებები და ა. შ. ეს იქნება ინდიკატორი და მანიშნებელი იმის, სარგებლობს თუ არა ეს პოლიტიკური ძალა ხელისუფლების მხარდაჭერით.

– ზოგადად შეთქმულებების თეორიები გამართლებულია?

– არ ვიცი, რას გულისხმობთ. ვერსიების და ვარაუდების გამოთქმის უფლება აქვს ყველას. მაგრამ ეს უკვე მათი პასუხისმგებლობის საქმეა, რომ მათი კომპეტენცია და რეპუტაცია ეჭვის ქვეშ არ დააყენონ.

– ვგულისხმობ იმას, რომ ჯერ იყო ვერსია, რომ ალასანია ქმნიდა „ოცნების“ სატელიტ პარტიას, მერე „რესპუბლიკელები“. ანუ იმ პარტიებზეა საუბარი, რომლებიც პრინციპულად უპირისპირდებოდნენ.

– მერე გამართლდა ეს?! რა თქმა უნდა, არ გამართლებულა. ამიტომ, ისინი, ვინც ასეთ ვერსიებზე საუბრობენ, უნდა დაფიქრდნენ, როგორ გამოიყურებიან ამ ვერსიების გახმოვანების დროს საზოგადოების თვალში.

„მასწავლებელი მოსწავლის მიმართ მკაცრი არ უნდა იყოს“

ლელა მდივანი

პანკისში პედაგოგები გერმანული სკოლის მოდელს ნერგავენ

პანკისელი პედაგოგები ბრიუსელს გერმანული სკოლების მოდელის გასაცნობად ეწვივნენ. ნატო-ში სტუმრობის ფარგლებში, მათ ინფორმაცია ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე, ნატო-ს გენერალური მდივნის საქართველოში ვიზიტზე და ხეობაში ევროატლანტიკური სტრუქტურის შესახებ ცნობიერების ამაღლების პროექტზე მიიღეს.

ომალოს სკოლის მათემატიკისა და ინფორმატიკის პედაგოგი, **ნათელა ცისკარიშვილი** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მათი მთავარი კითხვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას უკავშირდებოდა, რაზეც ნათელა ცისკარიშვილი ამბობს, რომ პასუხი დამაიმედებელი და სასიხარულო იყო.

– როდიდან და რატომ გაჩნდა ბრიუსელში გამგზავრების იდეა და ვისი ინიციატივა იყო ეს?

– ეს იდეა დაახლოებით ნოემბერ-დეკემბრის თვეებში გაჩნდა. ინიციატივა კი წამოვიდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხრიდან. ჩვენი ბრიუსელში გაშვების მიზანი ის იყო, რომ ევროკავშირისგან დაგვენახა, თუ რა ხდებოდა ადგილზე.

– რა დაგხვდათ იქ, რა განსხვავებებია ძირითადად.

– ბევრი განსხვავება იყო და ბევრი რამ მომეწონა. მაგალითად, იქაურ კერძო სკოლაში შევედით და ისეთი გარემო იყო, თითქოს სახლში იყვნენ ბავშვები, არავითარი განსხვავება არ იყო იმ სკოლასა და სახლს შორის. იქ პირობები და გასართობიც ისეთივე იყო, როგორც სახლებშია. ფორმები ეცვათ, სხვათა შორის. ძალიან გაგვიკვირდა. კვირაში მხოლოდ ერთი დღე ჰქონდათ, როცა ფორმების გარეშე თავისუფლად შეეძლოთ ყოფილიყვნენ. ადგილზე ჰქონდათ სასადილო და იქ ყველაზე პატარაც კი საკუთარ თავს თვითონ ემსახურებოდა. იქ მეტი თავისუფლებაა. სხვათა შორის, წიგნებიც ვნახეთ იქაური და ჩვენთან ის პროგრამა, რაც მეოთხე კლასში ისწავლება, მათემატიკაზე იყო საუბარი, ისინი მე-7 კლასში სწავლობენ. აი ასეთი განსხვავებაა. კიდევ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წესრიგის მოყვარული ხალხი არიან. მაგალითად, გზაზე გადასვლა-გადმოსვლა არ ეშლებოდათ. ყველას სადღაც ეჩქარებოდა, სადღაც მირბოდა. არავის შენი თავის არ ჰქონდა. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ყველა დასაქმებული იყო და შენ არავინ გაქცევდა ყურადღებას. თითქოს ყველა წუთი და წამი განსაზღვრული ჰქონდათ.

– როგორც აღნიშნეთ, თქვენი სურვილია, მსგავსი ტენდენცია აქაც დანერგოთ. დაიწყეთ ამ მხრივ მუშაობა? რა ეტაპზე ხართ?

– კი, სკოლაში მოტივაციის ამაღლების მიზნით, შეიძლება მსგავსი რაღაცების გაკეთება, რომ მეტი თავისუფლება მივანიჭოთ ამ ბავშვებს. მე პირადად, არ ვუკრძალავ კლასში ბევრ რამეს. მკაცრი მიდგომა არ უნდა გქონდეს მასწავლებელს ბავშვების მიმართ. ყველანაირად ახლოს უნდა იყო მოსწავლეებთან, რომ არ ეშინოდეთ შენი. თავისუფლად უნდა იყვნენ შენთან.

– მოვისმინე, პანკისელი პედაგოგები ამბობდნენ, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ გააკეთებენ ყველაფერს, რათა ხეობაში ევროატლანტიკური სტრუქტურის შესახებ ცნობიერება გაიზარდოს და იქ მცხოვრები მოსახლეობა არ გახდეს დეზინფორმაციის მსხვერპლიო. უფრო ზუსტად შეგიძლიათ გვითხრათ, რა დეზინფორმაციებზეა საუბარი და რა პრინციპით იმუშავებთ ამაზე?

– ახლა, ყველა კლასის მასწავლებელი ვაპირებთ ღია გაკვეთილის ჩატარებას. ყველა კლასში, სადაც შევდივართ, ვაწვდით ინფორმაციას რა ვნახეთ და რა შთაბეჭდილებებით ჩამოვედით.

– მარტში ნატოს გენერალური მდივანი ჩამოდის საქართველოში. როგორ ემზადებით მასთან შესახვედრად, რა კითხვები დაგიგროვდათ და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ვიზიტი თქვენი პროექტისთვის?

– ჩვენი პროექტისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება და, სხვათა შორის, მასთან კითხვებიც დაგვიგროვდა. მაშინაც მაინტერესებდა და ახლაც, კონკრეტულად სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად ერთი-ორი გზა მაინც რომ ვიცოდეთ, როგორ დავიწყოთ ამ პროექტის განხორციელება, რისი გაკეთება შეიძლება პირველ ეტაპზე. ეს გვაინტერესებს ყველაზე მეტად.

წულუკიანი: „სპეკულაციაა, რომ თიბისის საქმეში თითქოს რუსეთის ხელი ურევია“

თიბისი ბანკის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს იუსტიციის მინისტრი გამოეხმაურა. თეა წულუკიანის თქმით, საუბარი იმაზე, რომ ამ პროცესებში რუსეთის ხელი ურევია, სპეკულაციაა:

– ყველა ტიპის სპეკულაცია, რომ ამაში ურევია რუსეთის ხელი ან რუსეთის ინტერესის გატარება ხდება, არის ძალიან ზედაპირული შეფასება, რბილად რომ ვთქვა, მიმდინარე მოვლენების, რადგან თავად ბანკის აქციონერებმა პრინციპში დაადასტურეს, რომ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება იყო სწორი, ფაქტებზე დაყრდნობით და საფუძვლიანი. ამიტომაც, რაც ნაკლებად შევეხებით ბანკს იმ ფორმით, კერძოდ კი, სპეკულაციების გავრცელებით, ვფიქრობ, მით უკეთესი იქნება თავად ბანკისთვის და ჩვენი ეკონომიკისთვისაც. როდესაც ხელმძღვანელობა ბანკს იყენებს არამიზნობრივი დანიშნულებით, რა თქმა უნდა, ეროვნული ბანკი იმისთვის არსებობს, რომ შემოწმება ჩაატაროს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

საქართველოს კაპიტალი საქართველოში უმსხვილესი კერძო სკოლების ქსელს ქმნის

საქართველოს კაპიტალი (Georgia Capital) საქართველოში უმსხვილესი კერძო სკოლების ქსელის შექმნას გეგმავს.

ამის შესახებ საინვესტიციო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში წერია.

საქართველოს კაპიტალის მიერ შემუშავებული პროექტით, ეს საქართველოს ზოგადი განათლების ბაზარზე ყველაზე მსხვილი კერძო ინვესტიცია იქნება, რომლის მიზანიც ქვეყანაში ხელმისაწვდომი და ხარისხიანი კერძო სკოლების ქსელის შექმნაა.

2018-2022 წლებში ჯგუფი ამ მიმართულებით ჯამში 140 მილიონი ლარის ჩადებას გეგმავს. აქედან 6.1 მილიონი ლარი კერძო სკოლების განვითარებისთვის უძრავი ქონების შეძენაზე უკვე დაიხარჯა.

– მომდევნო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ვიმედოვნებთ, რომ შევქმნით ხელმისაწვდომი კერძო სკოლების ქსელს, რომელშიც 2025 წლისთვის ჯამში 30,000-მდე მოსწავლე ისწავლის, – წერია ჰოლდინგის ანგარიშში.

ლევან ჩაჩუა: „პარლამენტი იწყებს კანონპროექტის განხილვას, რომელიც ეკლესიას დიდ დარტყმას მიაყენებს“

„ქართული ოცნების“ მომხვეჭელობა უსაზღვროა“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე მწვავე პრობლემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ **ლევან ჩაჩუას.**

– პრემიერი მამუკა ბახტაძე გვპირდება, რომ მთავრობა ფუნდამენტურ რეფორმებს გაატარებს, რომლებიც სიღარიბეს შეამცირებს.

– მეშვიდე წელია, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, სიღარიბე კი იზრდება. რაც დამოუკიდებლები გავხდით, მას შემდეგ საქართველომ უამრავი პრემიერ-მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარე გამოიცვალა. არ მახსოვს, რომელიმე მათგანს ხალხის მდგომარეობა გაეუმჯობესებინოს. ყველა ხელისუფლების დროს უკანონოდ მდიდრდებოდა ერთი ჯგუფი, მოსახლეობის მდგომარეობა კი უარესდებოდა.

შევარდნაძის დროინდელ მასობრივ კორუფციას ჩაენაცვლა სააკაშვილის რეჟიმის ელიტარული კორუფცია. ამას მოჰყვა ივანიშვილის მმართველობის გაუმაძღრობა. „ქართული ოცნების“ მომხვეჭელობა უსაზღვროა და ის აჭარბებს წინა ხელისუფლებების მოქმედებებს. ამდენი პრემია, დანამატი, მაღალი ხელფასი, შავი ფული და სასახლე ისტორიას არ ახსოვს.

ზოგს ეგონა, მილიარდერები და მილიონერები რომ ხელისუფლებაში იქნებიან, ისინი ფულის შოვნაზე ორიენტირებულები არ იქნებიანო. ეს ხალხი შეცდა. ძალიან მდიდრებს მადაც უზარმაზარი აღმოაჩნდათ. ისინი ფულს აკეთებენ ყველა ხვრელიდან და თუ რამე დარჩა ქვეყანაში გასაყიდი, ყიდიან. ისინი მისდევენ ბენდუქიძის ფორმულას, რომლის მიხედვით, ყველაფერი იყიდება, სინდისის გარდა. არადა, ყველაფერს რომ იყიდის, იმ კაცს სინდისი არ გააჩნია.

– მთავრობის დაპირება ნდობას არ იწვევს?

– რასაკვირველია. რომ ამბობენ, საქართველო ეკონომიკური ცენტრი ხდებაო, ესეც ტყუილია. ერთ დროს ჩვენი ქვეყანა რეგიონის მამოძრავებელი და პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე კულტურული ცენტრი იყო. ახლა სავალალო მდგომარეობაში ვართ – საქართველო გადაქცეს ნარკოდერეფნად, სათამაშო ბუნაგად და სექსტურიზმის ჰაბად. სააკაშვილმა ეს დაიწყო და ახლანდელმა ხელისუფლებამ ეს გეზი შეინარჩუნა.

– „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალების სულიერ ერთიანობაზე ადრეც გისაუბრიათ. თქვენს პროგნოზს როგორი პირი უჩანს? ამბობდით, რომ 2020 წელს ხელისუფლებაში მოსვლა დაგეგმილი აქვს სახელშეცვლილ ნაცმოძრაობას „ქართული ოცნების“ ნაწილთან ერთად.

– ქვეყანაში მმართველ პარტიაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ნათელყოფს, რომ ეს გეგმა ნამდვილად არსებობს და ჩემი პროგნოზი მართალია. გამართლდა ჩემი ნათქვამი იმაზე, რომ ივანიშვილი გვერდზე გაწევდა იმათ, ვინც გარეგნულად და მოჩვენებითად ნაცმოძრაობასთან მებრძოლებად ითვლებიან და წინ წამოსწევდა იმ ახალ სახეებს, რომლებსაც მე „ნორჩ სოროსელებს“ ვეძახი.

პირობითად, მათი მეთაურია პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. ეს ადამიანი გვიმტკიცებს, რომ სააკაშვილის „ზონდერმოსამართლეები“ მაშინ ცუდ საქმეებს აკეთებდნენ, ახლა კი კარგები გახდნენ. რა რეაქცია უნდა მქონდეს ამაზე მე, სააკაშვილის რეჟიმის სინდისის პატიმარს!

ქვეყანაში ამაზე უარესები ხდება. საქართველოს ხელისუფლება დიდი ამბით შეუერთდა მაროკოს პაქტს მიგრანტების შესახებ. ამის შედეგს ზაფხულის დასაწყისში ვნახავთ, როცა ქვეყანას აზიიდან და აფრიკიდან ლტოლვილები მოაწყდებიან და დასაქმებას მოითხოვენ.

ყველანაირი კატასტროფა გვემუქრება სხვა მხრიდანაც. პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტი იწყებს კანონპროექტის განხილვას, რომელიც ისეთ დარტყმას მიაყენებს ეკლესიას, რომ ციანიდის საქმე მონაგონი იქნება.

– კანონპროექტი რელიგიას ეხება?

– პირდაპირ რელიგიას არ ეხება, მაგრამ მოიცავს სულიერ, კულტურულ, საგანმანათლებლო, იურიდიულ სფეროებს. კანონპროექტი ბავშვთა უფლებებზეა, მაგრამ მასში ისეთი ბევრი რამეა ჩაწერილი, რომ ანგრევს ქვეყნისა და ჩვენი შვილების მომავალს. სოციალურ მუშაკებს ეზრდებათ უფლებები. ისინი ჩაერევიან ოჯახურ ცხოვრებაში და დასჯიან მშობელს, რომელიც თამბაქოს ან მარიხუანას არ მოაწევინებს საკუთარ მცირეწლოვან შთამომავალს ან შვილს მეძაობას დაუშლის.

– ახლაც ხომ მოქმედებს კანონი, რომლითაც თუ ბავშვს ოჯახი ვერ უვლის და მასზე ძალადობს, მას ოჯახს არიდებენ?

– ახლაც მოქმედებს. ამ კანონის მიხედვით, ყოფილა ბავშვების ოჯახიდან გასახლების შემთხვევები ეკონომიკური მიზეზით. ესეც არ არის სწორი. მაგალითად, მრავალშვილიან ოჯახს უჭირს შვილების უზრუნველყოფა. მათ შვილებს წაიყვანენ სხვა ოჯახებში, სადაც დედობილ-მამობილებს სოლიდურად დააფინანსებენ. თუ სახელმწიფოს შეუძლია თანხების გაღება, მაშინ პირდაპირ მშობლებს დაეხმაროს!

– ეკლესიას რატომ მიაყენებს თქვენ მიერ ნახსენები კანონპროექტი დარტყმას?

– მის განხილვაში ჩართული არიან საპატრიარქოს წარმომადგენლები, იურისტები. განხილვაში მონაწილეობა, თავისთავად, ნიშნავს იმას, რომ კანონპროექტი მისაღებია. მინდა თქვენი პოპულარული გაზეთის დახმარებით სიყვარულითა და პატივისცემით მივმართო ეკლესიას, კომპეტენტური და გამოცდილი ხალხი გაგზავნოს პარლამენტში. მისი მიღება საპატრიარქოს მონაწილეობით, უდიდეს დარტყმას მიაყენებს ეკლესიის ავტორიტეტს. კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძეს ვუსაყვედურე პროექტში ჩადებული ჩანაწერების გამო. მან მიპასუხა, რომ ეს პუნქტები მას არ ეკუთვნის. გავარკვიე, რომ ისინი არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივაა.

– თქვენ შეშფოთებას იწვევს ის, რომ მშობელი შვილს შენიშვნას ველარ მისცემს, მაგალითად, მოწევის გამო?

– ესეც სერიოზული პრობლემაა. ნარკოტიკებით გაბრუებული შვილი გამთენიისას მოდის სახლში და მშობელს უფლება არ ექნება, მას სიტყვა გადაუკრას. იუვენალური სამართლით, ურჩ მშობელს პირველ ჯერზე გააფრთხილებენ, მეორედ – მშობლის უფლებას ჩამოართმევენ. სკოლებში სწავლის დონე უარესდება. ამას ემატება ის საშინელება, რასაც გვიმზადებენ. რა გველოდება? გამოთაყვანებული, გაუნათლებელი და გარყვნილი მომავალი თაობა? ეს ქვეყანას უფსკრულში გადაჩეხავს. ამაზე უარესი პუნქტები გენდერულ იდენტობას უკავშირდება.

– ბევრი ადამიანისთვის გენდერი სქესებს შორის თანასწორობაა.

– თავიდან მეც ასე მეგონა. თურმე, გენდერს 70-მდე ნაირსახეობა აქვს. ამ კანონპროექტში ბევრი ისეთი გაუკუღმართებაა ჩადებული, რომ ბავშვს არც უნდა ეხებოდეს. მაგალითისთვის, დაიბადა ბიჭი, რომელიც გაიზარდა და თავის იდენტიფიცირებას ახდენს ქალთან. მას გაუჩნდა პარტნიორი კაცი. ეს ადამიანი ვერ ჩაითვლება მამათმავლად თავისი იდენტობის გამო. ვინც მას მამათმავლად მოიხსენიებს, ანტიდისკრიმინაციული კანონით დაისჯება.

ეს ის კანონია, რომელზეც მიღებამდე სამჯერ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკოს-პატრიარქმა. ეკა ბესელია, რომელიც ახლა სიმართლისთვის მებრძოლი გახდა, მაშინ აცხადებდა, რომ პარლამენტს პატრიარქთან კომუნიკაცია აქვს. კომუნიკაცია რომ ჰქონდათ, რაიმე გაითვალისწინეს?! ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდე იმ პროცესში იყვნენ ჩართული საპატრიარქოს წარმომადგენლები. ისინი მკვეთრად უარყოფით პოზიციას იკავებდნენ და საკითხს აპროტესტებდნენ.

ბავშვთა უფლებების კანონპროექტზე საპატრიარქოდან მოსაზრებები არ ისმის. სავალალო ესაა. ეს ის კანონპროექტია, რომელიც სრულიად დაანგრევს ჩვენს საზოგადოებას, კულტურას, ტრადიციებს და მომავალს.

რატომ მალავს განათლების სამინისტრო ჩაჭრილი მასწავლებლების რაოდენობას

მარიამ ქელბაქიანი: „საატესტატო გამოცდების გაუქმება ამომრჩევლის მოსყიდვაა“

შორენა მარსაგიშვილი

განათლების სფეროში რომ კატასტროფული ვითარებაა, ამაზე აღარავინ, მათ შორის არც განათლების სამინისტრო აღარ დავობს. მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ ჩაატარა კვლევა, სადაც ნათლად ჩანს, რომ ყოველწლიურად იზრდება იმ მოსწავლეების და მასწავლებლების რაოდენობა, რომლებმაც გამოცდებზე მინიმალური ზღვარი ვერ დაძლიეს.

– 2014 წლის შემდეგ საჯარო სკოლის მე-12 კლასის საატესტატო გამოცდებში ჩაჭრილთა რაოდენობა გაორმაგებულია. 2014 წელს გამოცდაში მონაწილეობა მიიღო

37.189 ბავშვმა, აქედან გამოცდები წარმატებით დაძლია 31.954-მა.

2015 წელს გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 43.525-მა ბავშვმა, აქედან წარმატებით დაძლია 37.079-მა.

2016 წელს მონაწილეობა მიიღო 45.688 ბავშვმა, აქედან წარმატებით დაძლია 34.111-მა.

2017 წელს მონაწილეობა მიიღო 47.063-მა, აქედან წარმატებით დაძლია 34.260-მა. 2018 წელს მონაწილეობა მიიღო 47.669 ბავშვმა, აქედან კი წარმატებით დაძლია 35.995-მა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში მარიამ ქელბაქიანი.

მისი თქმით, ამ კვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ 2014 წელთან შედარებით იმ ბავშვების რაოდენობა გაორმაგებულია, რომლებმაც მინიმალური ზღვარი ვერ გადალახეს.

– 2014 წელს ასეთი ბავშვების რაოდენობა იყო 5.235. 2018 წელს რაოდენობამ 11.674-ს მიაღწია, – ამბობს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

ის დარწმუნებულია, რომ სწორედ ეს კატასტროფული ციფრები გახდა იმ გადაწყვეტილების მიზეზი, რომელიც განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა მიიღო.

– ალბათ ყველას კარგად გვახსოვს განათლების მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის განცხადება საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით, რამაც მე-12 კლასელების სიხარული გამოიწვია, რაც მოსალოდნელიც იყო. დღევანდელი ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები ვერ აძლევენ სკოლის მოსწავლეებს სათანადო განათლებას, რაც ცხადად აისახება ციფრებზე და ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საერთოდ გააუქმონ საატესტატო გამოცდები.

იმის გათვალისწინებით, რომ საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან ერთად განათლების სამინისტრო არ გვთავაზობს არანაირ პარალელურ აქტივობას, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას და ზოგადი განათლების ხარისხის შეფასებას მოემსახურება, შეგვიძლია ერთადერთი დასკვნა გავაკეთოთ – საატესტატო გამოცდების გაუქმებით სამინისტრო ცდილობს, დაფაროს ახალგაზრდების ცოდნის დონის ტოტალური ვარდნა და არც კი ფიქრობს მიზეზების კვლევასა და მდგომარეობის გამოსწორებაზე, რაც მისი მთავარი ფუნქციაა, – ამბობს მარიამ ქელბაქიანი.

მისი თქმით, მიხეილ ბატიაშვილის ამ გადაწყვეტილებაში პოლიტიკური გათვლაც და ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობაც შეინიშნება.

– ასევე, პოლიტიკური თვალსაზრისით, მათ კარგი გათვლაც გააკეთეს სკოლის მოსწავლეებზე, რომელთა უმრავლესობაც წელს საარჩევნო ხმის უფლებით ისარგებლებს. პირველი, გამოცდების გაუქმებით ვითომდა დაფარეს მათი უნიათობა და მეორე, მოსყიდვის მანკიერი პრაქტიკა.

კარგად გვახსოვს პრემიერ-მინისტრის მიერ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გაკეთებული განცხადება ვალების განულებასთან დაკავშირებით, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, – აღნიშნავს „მედიატორის“ წევრი.

მინისტრის გადაწყვეტილების მიზეზების ამოხსნის შემდეგ მარიამ ქელბაქიანმა გადაწყვიტა, გაერკვია, რატომ დაეცა ასე მკვეთრად ბავშვების განათლების დონე. „მედიატორმა“ გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მასწავლებელთა სასერთიფიკატო გამოცდების მონაცემები გამოითხოვა. საუბარია 2014 წლიდან 2018 წლამდე პერიოდზე.

ქელბაქიანი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ კატასტროფულმა შედეგებმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა.

– 2014 წელს გამოცდაზე გავიდა 11.315 ადამიანი, აქედან მინიმალური ზღვარის გადალახვა 2.001-მა შეძლო. 2015 წელს გამოცდაზე გავიდა 18.848 ადამიანი, აქედან მინიმალური ზღვარის დაძლევა 4.478-მა მოახერხა. 2016 წელს გამოცდაზე გავიდა 23.614 ადამიანი და აქედან მინიმალური ზღვარი მხოლოდ 4.558-მ გადალახა. 2017 წელს გამოცდაზე გავიდა 40.534 ადამიანი და მათგან მინიმალური ზღვარი 26.408-მა გადალახა.

2017 წელს განათლების მაშინდელმა მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ გააკეთა განცხადება ხელფასის მატებასთან დაკავშირებით, რაც მასწავლებლის სტატუსთან იქნებოდა კავშირში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამან გამოიწვია გამოცდაზე გასვლის მსურველთა რაოდენობის გაზრდა და ასევე მინიმალური ბარიერის გადამლახავთა რაოდენობის ზრდაც.

2018 წელს გამოცდაზე გავიდა 16.779 ადამიანი, ხოლო მონაცემი, თუ რამდენმა გადალახა საერთო ჯამში მინიმალური ზღვარი, არ მოგვაწოდეს, სავარაუდოდ, უფრო მძიმე შედეგის დასაფარად, – აცხადებს ქელბაქიანი.

მისი თქმით, ასეთი კატასტროფული მაჩვენებელი გამოწვეულია განათლების სისტემის გაუმართაობით და იმ ხელფასით, რასაც მასწავლებლები იღებენ.

– ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში რთულად საპოვნელი გახდა პროფესიონალი მასწავლებელი, რომელიც ბავშვს სწორად გადასცემს მასალას და ყველანაირად შეეცდება, ბავშვის სწავლის ხარისხი გაზარდოს.

მასწავლებლები, რომლებიც ძირითადად 400 ლარზე მუშაობენ და აქვთ უამრავი სოციალური პრობლემა, რთულია, მთლიანად კონცენტრირებულნი იყვნენ თვითგანვითარებასა და სწავლების მეთოდიკაზე, სახელმწიფო არაფერს აკეთებს მათი გადამზადებისთვის, არ უწყობს ხელს, გაეცნონ საერთაშორისო პრაქტიკას, აითვისონ სწავლების ახალი მეთოდები და ა.შ.

ერთ მასწავლებელში ჩადებული ინვესტიცია ათასობით ბავშვში ჩადებულ ინვესტიციას უდრის, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ძირეული პრობლემების გამოსწორებაზე და არა იმაზე, რომ წინასაარჩევნოდ მთელი განათლების დაწესებულებები კამპანიაში ჩართოს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავითავისოთ, რომ როგორც სკოლის, ასევე ბაღის პედაგოგები არ არიან პარტიული აგიტატორები და აღარ ჩარიონ ისინი საარჩევნო საქმიანობაში, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, აღარ უნდა ცვალონ წელიწადში ერთხელ მინისტრები, რომლების მოსვლის შემდეგაც ყველა ახალ „რეფორმას“ შემოგვთავაზებს, იქნება ეს სკოლებში ვაშლების დარიგება თუ საატესტატო გამოცდების გაუქმება, – მიიჩნევს მარიამ ქელბაქიანი.

თამარ ლალიაშვილი: „მოსამართლეებმა უნდა დაასაბუთონ, საიდან იშოვეს ამდენი ქონება“

გულიკო ბალაძე

რა ნიშნავს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შეჩერებაზე უარის თქმა და რა შედეგს მოიტანს პარლამენტის ასეთი გადაწყვეტილება სასამართლო ხელისუფლებისთვის. „ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **თამარ ლალიაშვილი** პასუხობს.

– ქალბატონო თამარ, საზოგადოება მოწმე გახდა იმ პროცესისა, რაც განვითარდა საქართველოს პარლამენტში ამ კვირაში მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას. რას ნიშნავს თქვენთვის ამ კანონპროექტის ჩავარდნა, რომლითაც მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა უნდა შეჩერებულიყო. რა შედეგს მოიტანს ეს გადაწყვეტილება?

– მე არც ველოდებოდი, რომ ეს პროექტი გავიდოდა. ხანდახან იმდენად ცხადი და ნათელია პარლამენტის უმრავლესობის მხრიდან სასამართლოში არსებული კლანებისადმი მხარდაჭერა, რომ ჩემში გაოცებას იწვევს. კანონპროექტი არ მიიღეს, შედეგად უმრავლესობა დაიყო. უმრავლესობაში არიან უმრავლესობა და უმცირესობა, რომელიც აბსოლუტურად სამართლიანად იბრძვის, რომ სასამართლო ხელისუფლებაში კლანი დაიშალოს.

მეტი რა მტკიცებულებები შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რაც უკვე წარმოდგენილია. თვით მურუსიძე აღიარებს და ამბობს, დიახ, ჩვენ კლანი ვართო. უფრო უარესიც – მან ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა, სადაც ამბობს: კარგი მებაღე გვყავს, კარგად გვივლის, ჩვენც გავიფურჩქნეთ და კარგ ნაყოფს ვიძლევითო. ის ნაყოფს აძლევს არა საზოგადოებას, არამედ თავის მებაღეს. ამიტომ არ ველოდი ამ პროექტის მხარდაჭერას და ჩემში გაოცება არ გამოუწვევია. უბრალოდ, გულდასაწყვეტი და გულსატკენია, ამდენი წლის ბრძოლამ ფუჭად ჩაიარა.

სამართლიანი სასამართლოსთვის ბრძოლა დღეს არ დაწყებულა. ჩინჩალაძის პირველი გადანიშვნა, მურუსიძის დანიშვნა, იუსტიციის საბჭოში ძველ შემადგენლობას ხმა რომ მისცეს ძველმა წევრებმა. ეს ხომ ერთი დღის ამბავი არ არის. უბრალოდ, საზოგადოება მაშინ გააქტიურდა, როცა დაინახა, რომ სასამართლო საბოლოოდ კლანის ხელში რჩება. ე.წ. რეფორმებმა სასამართლოს არანაირი გაჯანსაღება არ გამოიწვია.

– „ოცნების“ უმრავლესობას თავისი არგუმენტები აქვს. ძირითადი არგუმენტი კონსტიტუციასთან შეუსაბამობაა, მაგრამ რაც მთავარია, თქვეს, მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შეჩერება სასამართლო ხელისუფლებაში კოლაფსს გამოიწვევსო.

– ჩინჩალაძისა და მურუსიძის სასამართლო ხელისუფლებაში არ ყოფნა რა კოლაფსს შექმნის? ვინც ამას ამბობს, მათთვის შექმნის კოლაფსს, რადგან ისინი სასამართლოს ვეღარ მართავენ. აბსოლუტურად სწორ დასკვნას აკეთებენ, როცა ამას ამბობენ. კლანი რომ ჩამოშორდეს სასამართლო ხელისუფლებას, კოლაფსი იქნება იმ პირებისთვის, რომლებიც უშუალოდ ამ სასამართლოს მართავენ, ანუ მართვის მექანიზმი მოეშლებათ. მოსამართლეები კლანის დირექტივების გარეშე დაბნეულები დარჩებიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავის გზას იპოვიან და დამოუკიდებლები იქნებიან.

ყოველ შემთხვევაში, იმის თქმა სამართლებრივი კუთხით, რომ მურუსიძე და ჩინჩალაძე თუ წავიდა და კლანი დაშალა, ეს სასამართლოსთვის კოლაფსია, მართლა ტრაგიკომედიაა.

– რატომ არის ტრაგიკომედია, ამით აღიარებენ?

– სერიოზულად ვუწოდებ ამას ტრაგიკომედიას, რადგან პირდაპირ აღიარებენ, რომ სასამართლოს ჰყავს დირექტორები და თუ ამ დირექტორებს საფუძვლიანად, სამართლიანად გაუშვებენ, სასამართლო ვეღარ იფუნქციონირებს. როგორ, მურუსიძითა და ჩინჩალაძით უნდა ფუნქციონირებდეს სასამართლო, როდესაც ვამბობთ, რომ ყველა მოსამართლე არის დამოუკიდებელი? 5 ადამიანის წასვლით, სასამართლოში კოლაფსი რატომ უნდა შეიქმნას?

– ქალბატონო თამარ, 150 მოსამართლე უკვე უვადოდაა დანიშნული. მათ შორის არიან ის მოსამართლეებიც, რომელთა სასამართლოში ყოფნა საზოგადოებისთვის მიუღებელია.

– დიახ, მურუსიძე, ჩინჩალაძე, ალანია და სხვები.

– ამას რა ეშველება? ისე ფიქრობენ, რომ ახალი მოსამართლეების შეყვანა სასამართლოში ვერ მოხდება და კოლაფსი ამიტომ იქნება.

– ახალ მოსამართლეებს რატომ ვერ შეიყვანენ. იუსტიციის საბჭო უნდა გადადგეს. ის მოსამართლეები, რომლებიც კლანის წევრები არიან, უნდა გადადგნენ. არანაირი კოლაფსი არ იქნება. პირიქით, იუსტიციის საბჭოს ის წევრები, ვინც კლანს ემორჩილებიან, ჯეროვნად ვერ ასრულებენ თავიანთ საქმიანობას და მათი უკან გაწვევა პარლამენტს შეუძლია.

– იუსტიციის საბჭოში პარლამენტის მიერ 5 პირია დანიშნული.

– მათ გარდა, დანარჩენი ყველა კლანის წევრია. თვითონ კლანი ზის იუსტიციის საბჭოში. ძალიან მარტივად შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტა. სასამართლოში არსებულ კლანს პოლიტიკური მხარდაჭერა რომ არ ჰქონდეს, ამდენ ხანს თვითონ დაწერდნენ განცხადებას და წავიდოდნენ. პოლიტიკური მხარდაჭერა აქვთ, თვითონაც იბრძვიან. ისინი პირობას დებენ, რომ სულ იქნებიან ხელისუფლებაში და განკარგულებას იძლევიან.

– მურუსიძე ამბობს, ჩვენ კარგი ხე ვართ, მაგრამ ადრე ცუდი მებაღე გვყავდა და ამიტომ ვიძლეოდით ცუდ ნაყოფსო.

– დიახ, ამბობს, სასამართლოს კარგი მებაღე ჰყავსო. მებაღე ვინ არის? ხელისუფლება. მე კარგი ხე ვარ, წყალს მისხამს და კარგ ნაყოფს ვიძლევიო. მებაღეს რაღაც რომ დაემართოს და წავიდეს, მე იგივე დავრჩებიო.

– დიახ, ადრე ცუდი მებაღე გვყავდა საა-კაშვილის სახით და ამიტომ ვღებულობდით უკანონო გადაწყვეტილებებსო.

– ეს იმას ნიშნავს, თუკი ცუდი მებაღე მოვა, თვითონ ისევ ცუდ ნაყოფს მოისხამს, ანუ მურუსიძე ამით აღიარებით ჩვენებას აძლევს. ამას ის მართლა გულწრფელად ამბობს. თანაც უკვირს, თქვენ რატომ გიკვირთ, ასეთ ეპოქაში ვცხოვრობ, რა არის აქ გასაკვირიო.

– სააკაშვილის დროს, 2010 წელს სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი გამოკითხვებით 27 თუ 48% ყოფილა. ახლა იგივე კომპანიის გამოკითხვებით 51%-მდე გაიზარდა. ფაქტობრივად, 3-4%-ია განსხვავება, ანუ ამ ხელისუფლების პირობებში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი 4-%-ით გაიზარდა. ეს რა არის? ამისთვის ჩატარდა სასამართლოს რეფორმირების სამი ტალღა?

– ან მაშინდელი კვლევა რა არის, ან ახლანდელი. ასეთ კვლევას მე ნამდვილად ვერ ვენდობი. იმდენად, ალოგიკურია, კორუმპირებულ სასამართლოს საზოგადოება ენდოს, ვერანაირად ვერ წარმომიდგენია. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენ ვიხილეთ ის სასახლეები, რაც მოსამართლეებს, მურუსიძესა და ჩინჩალაძეს, აქვთ. რას ეძახიან კოლაფსს? კოლაფსს ზუსტად ამას ეძახიან.

მურუსიძესა და ჩინჩალაძეს ძალიან ბევრი მოსამართლე თავიანთი გავლენის ქვეშ ჰყავთ. ამას ჩემი თქმა რად უნდა, შესანიშნავად იციან. თვითონ ხომ კაბინეტებში შედიან, იღებენ დავალებებს, ესაუბრებიან, ყველა საქმეზე, რომელიც გახმაურებული და საჯაროა, მითითებებს იღებენ. თუ რაიმე ინტერესი აქვთ, ისინი შედიან მურუსიძესა და ჩინჩალაძესთან გარიგებაში. ასე იღებენ მილიონებს.

დაიბარებენ მოსამართლეებს, მისცემენ მითითებებს და მოსამართლეებიც იმ მითითებებს ასრულებენ. რად გინდათ მეტი დოკუმენტი, რაც ჩვენ ვიხილეთ ტელეეკრანებიდან, ყველაფერზე მეტყველებს.

– მაინც რაზე მეტყველებს?

– მოსამართლე მეც ვიყავი, მაგრამ სასახლეები კი არ მაქვს. რემონტი ვერ გამიკეთებია, ისეთ მდგომარეობაში ვარ.

– ანუ ეს მოსამართლეები რა გზით შოულობენ ამდენ ფულს, სასახლეებს რომ აშენებენ?

– კორუფციის ჭაობში არიან ჩაფლულები. ჩინჩალაძის, მურუსიძისა და სხვების სასახლეები, რაც აჩვენეს, არა მგონია კანონიერი შემოსავლით ჰქონდეთ აშენებული. მისი მეზობელი ხომ უყურებს, რაც ხდება. თქვენ გგონიათ, მურუსიძეზე და ჩინჩალაძეზე ნაკლებად შრომობენ?

– ვიღაცის ინტერესების შესაბამისი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისთვის ღებულობენ ფულს?

– მე გამოვდივარ იმ სასახლეებიდან, რაც ვნახეთ. სხვა გზით ამდენი ქონების დაგროვება შეუძლებელია. მათ კორუფციის გზით აქვთ ნაშოვნი ის ქონება. თუ არადა, გამოვიდნენ და საპირისპირო ამტკიცონ, ამდენი ქონება საიდან აქვთ? ძალიან საინტერესოა, საიდან აქვთ მურუსიძესა და ჩინჩალაძეს ამდენი ქონება? 194-ე მუხლში პირდაპირ წერია: ფულის გათეთრება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ან უკანონო, ან დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა.

ე.ი. მურუსიძემ და ჩინჩალაძემ უნდა დაასაბუთონ, საიდან აქვთ ეს ქონება? ვინ მისცათ ეს ქონება. ვინმე რამეს აკეთებს ამის საწინააღმდეგოდ? პროკურატურამ უნდა გამოიძიოს, ამ მოსამართლეებმა საიდან მიიღეს ამხელა ქონება, რა შემოსავლებით აქვთ ტელევიზიით ნაჩვენები ქონება.

ჩემი ვარაუდით, ის მოსამართლეები, რომლებსაც სასახლეები აქვთ, კორუმპირებულები არიან. მეც ვიყავი მოსამართლე და ის ხელფასი მეც მქონდა, მაგრამ, აბა შეხედეთ ჩემს შემოსავლებს და ჩემი ცხოვრების პირობებს და მათ პირობებს – ბოლო მოდელის ავტომანქანებზე (ჯიპებზე) სხედან, სასახლეები აქვთ წამოჭიმული (არაერთი).

– პარლამენტის თავმჯდომარემ და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადეს, რომ უვადოდ მოსამართლეების დანიშვნის შეჩერება ასევე გამოიწვევს საჯარო სამსახურის შესახებ კანონისა და მოსამართლის, როგორც საჯარო პირის უფლების დარღვევას.

– რატომ ირღვევა, ჩვენ ხომ განსაკუთრებული პირობები გვაქვს, ჩვენ ხომ ჩვეულებრივი მდგომარეობა არ გვაქვს? სამოქალაქო საზოგადოება იბრძვის და ამბობს, არ გვინდა გვყავდეს კორუმპირებული კლანი სასამართლოში, არ გვინდა მართული სასამართლო, არ გვინდა იმ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა, რომლებიც 10 წლის განმავლობაში მუდმივად არღვევდნენ კანონებს და სხვის ბრძანებებს ემორჩილებოდნენ. ეს, ფაქტობრივად, დადგენილია. უბრალოდ გაუგებარია, რა კანონის დაცვასა და გარანტიაზე საუბრობენ, როდესაც ძირშივე უკანონოდ შექმნილი სასამართლოა. აბსოლუტურად საღ აზრს მოკლებულია ამ შემთხვევაში საჯარო სამსახურის შესახებ კანონზე დაყრდნობა.

რა თქმა უნდა, კანონსა და ფურცელზე ძალიან ბევრი რამ შეიძლება ეწეროს, მაგრამ განხორციელება სხვანაირად მოხდეს რეალობაში. ცხადია, მოსამართლეები უვადოდ უნდა ინიშნებოდნენ, მაგრამ არა ის მოსამართლეები, ჩინჩალაძეები და მურუსიძეები რომ არიან, არა ის ადამიანები, რომლებიც ვერც ერთ შემთხვევაში რომ ვერ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს. კანონი ბოროტად იქნა გამოყენებული. ამ შემთხვევაში კანონს დაცვა უნდა, რომ ბოროტად არ იქნას გამოყენებული. სასამართლოში რაც განხორციელდა, ეს არის კანონის ბოროტად გამოყენება.

– დაცული უნდა იყოს სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპიო.

– სამართლიანობა უნდა იყოს დაცული და ადამიანს უნდა ჰქონდეს საშუალება, სამართლიან სასამართლოში წავიდეს. მოსამართლეებმა კანონი ბოროტად გამოიყენეს, გადანიშნეს კლანი, შეიქმნა ჯაჭვი და მოსამართლე, რომელიც ადამიანს უნდა ემსახურებოდეს, დიდი ბოროტების წინაშე დგება. ადამიანი წავა სასამართლოში და სამართალს ვერ იპოვის იმიტომ, რომ კლანი მართავს. სასამართლო მიუკერძოებელი აღარ არის. რა დიდი ახსნა განმარტება უნდა ამას, რატომ იშველიებენ იმ კანონებს? კარგად დაწერილი კანონები ბოროტად გამოიყენეს. ახლა ამას უნდა გაჯანსაღება, მაგრამ ამის გაკეთებაც არ უნდათ.

– ანუ თქვენ შესაძლებლად მიგაჩნდათ უვადოდ მოსამართლეების დანიშვნის შეჩერება?

– ამ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა დიდი ხნის წინ უნდა შეჩერებულიყო. უვადოდ არ უნდა დანიშნულიყვნენ მურუსიძე, ჩინჩალაძე? არ უნდა გადანიშნულიყვნენ ის მოსამართლეები, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ. ამით ძალიან ცუდი რამ გაკეთდა. პრობლემა სიღრმისეულია.

– რას გამოიწვევს ამ პროცესის გაგრძელება?

– თუ სასამართლო არსებულ ვითარებაში დარჩა, ადრე თუ გვიან, თავის გამოსავალს მაინც ნახავს. რაღაც სხვა ფორმით გამოვლინდება. ბუნებრივი პროცესია და ასე არ დარჩება. მაშინ, როცა სააკაშვილის დროინდელმა უსამართლობამ, რაღაც ფორმით, სადღაც გამოსავალი ნახა და ამოხეთქა, ისე ამოხეთქავს სასამართლოში დაბუდებული უსამართლობაც.

არასამთავრობო სექტორი სასამართლო სისტემიდან მინიმუმ 10 მოსამართლის გაშვებას ითხოვს

არასამთავრობო სექტორი სასამართლო სისტემიდან მინიმუმ 10 მოსამართლის გაშვებას ითხოვს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ სულხან სალაძემ განუცხადა, ესენი არიან მიხეილ ჩინჩალაძე, ლევან მურუსიძე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის მოსამართლე წევრები, რომლებმაც 2018 წლის დეკემბერში უზენაეს სასამართლოში უვადოდ გასამწესებელ ათკაციან სიას მხარი დაუჭირეს. ეს მოსამართლეები არიან: გიორგი მიქაუტაძე, ვასილ მშვენიერაძე, სერგო მეთოფიშვილი, ირაკლი შენგელია, რევაზ ნადარაია, ირაკლი ბონდარენკო, დიმიტრი გვრიტიშვილი და თამარ ონიანი.

ამასთან, სულხან სალაძის განცხადებით, რამდენიმე დღის წინ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ბრიუსელში, ევროკომისიასა და ევროპარლამენტში, სადაც საქართველოსთვის მნიშვნელოვან დემოკრატიულ საკითხებთან ერთად ისაუბრეს საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულ რთულ ვითარებაზე. სულხან სალაძის განმარტებით, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის წარმომადგენლებს, საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია აქვთ. სალაძის თქმით, მათ უზენაეს სასამართლოში წარდგენილ მოსამართლეთა ათკაციან სიას „საშობაო საჩუქარიც“ კი უწოდეს.

– მოსამართლეთა ათკაციანი სიის ნომინირება იყო ერთგვარი წითელი ხაზი, რომლის შემდეგაც ნათელი გახდა ჩვენთვის, რომ ან ეს ჯგუფი ტოვებს სასამართლო სისტემას, ან ჩვენ შევდივართ ჩიხში. ამ ჩიხიდან გამოსავალი შემდეგში რა შეიძლება იყოს, არ ვიცი.

ზოგადად, სასამართლოს თემის ირგვლივ არსებული პრობლემის შესახებ ძალიან კარგად იციან ბრიუსელში. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ჩემს კოლეგებთან ერთად საინტერესო შეხვედრები მქონდა ბრიუსელში. რამდენიმე შეხვედრაზე ისიც კი თქვეს, რომ ამ სიის ნომინირება იმდენად მოულოდნელი იყო მათთვისაც, რომ „საშობაო საჩუქარი“ უწოდეს ამ ყველაფერს. საქართველოსთვის, რეალურად სასამართლო მნიშვნელოვანი გამოწვევაა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც. ვფიქრობ, რომ ეს უფრო მეტ დოკუმენტში აისახება, როგორც მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოება, თუკი ქვეყანაში ცვლილებები არ მოხდება, – განაცხადა სულხან სალაძემ.

მალხაზ კობაური: „რომ დავუმიზნე, მიტრიალდა და მაგ დროს ვესროლე ბეჭებში, მერე თავში ვესროლე“

რუსთავი 2-მა მწყემსის დაკითხვის კადრები აჩვენა

ხადას ხეობაში სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებული მალხაზ კობაური გამომძიებელთან ყვება, თუ როგორ შეხვდა მთაში ჩასულ ამერიკელ ოჯახს, რატომ დაიწყო მათ შორის კონფლიქტი.

ვიდეოკადრების მიხედვით, ახალგაზრდა მწყემსი სამართალდამცველებთან დაკითხვისას აღიარებს, როგორ მოკლა რაიან სმიტი და ატირებული ბავშვი.

– მერე რომ დაღამდა, მელანდებოდა ბავშვის წივილისაც, დედის წივილისაც, კაცისაცა და უნდა მეთქვა რა, და ვერა ვბედავდი. მახრჩობდა უკვე რა, ვეღარ ვიკავებდი, – ამბობს გამომძიებელთან მალხაზ კობაური.

კობაური გამომძიებელს უყვება, რომ ხადას ხეობაში დაკარგული ცხვრის მოსაძებნად იყო ჩასული, თოფი კი ნადირისგან თავის დასაცავად ჰქონდა წაღებული. დაკარგული ცხვრის საძებრად წასული მწყემსი, ხადას ხეობაში სმიტების ოჯახს, დაახლოებით, 11:00-12:00 საათზე შეხვდა. კობაურის მონათხრობის მიხედვით, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ რაიან სმიტმა მწყემსზე გაიწია.

– გავექეცი რა, დამიჭირა კია, აესე მკლავზე, მაგრამ გავექეცი და რომ დავუმიზნე, მიტრიალდა და მაგ დროს ვესროლე ბეჭებში, მერე რომ ჩაიჩოქა, რომ ყვირილი დაიწყო, შემეშინდა, მეთქი დამიჭერენ და საქმე გამისკდება მეთქი და თავში ვესროლე, – ამბობს დაკითხვისას კობაური.

გამომძიებელი მწყემსს ლორა სმიტის მკვლელობის დეტალებს ეკითხება.

კობაური ამბობს, რომ ატირებულ ბავშვს ესროლა. აღიარებით ჩვენებაში კობაური ბავშვის ცხედრის გადამალვის ეპიზოდსაც იხსენებს. დაკითხვის დროს გამომძიებელი მალხაზ კობაურს ყურადღებას იმ დაზიანებაზეც უმახვილებს, რომელიც მას სახეზე აღენიშნებოდა.

– აქ რატომ გაქვს? ქალმა ჩამოგკაწრა?

– ქალს არ ჩამოუკაცრია, ქალი ვაფშე ახლოს არ მოსულა.

– აბა ვინ ჩამოგფხოჭნა?

– ისა, რო ვჩქარობდი, რო მივდიოდი, ჯაგები, აეს ჯაგები რა, ტოტს გავცხე.

– არ მომატყუო.

– აი მანამდე, რო გადავარდა, მერე იყო ცოცხალი თუ აღარ მახსოვს, მივედი ახლოს თუ არ მივედი, აღარ მახსოვს, ე.ი. გათიშული ვიყავი, ვეღარ ... შავათა ვხე. მარტო ვხედავდი, რო მირბოდა და მივდევდი.

– ამ ქალს თოფი ხო არ დაადე, სანამ გადახტებოდა? ხო არ ეძალავე, მითხარი!

– არა, არ მახსოვს რა.

– არ გახსოვს?

– აი ნაღდად გეუბნები, არ მახსოვს რა.

ექსპერტიზამ მწყემსის მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულიც გამოავლინა, რომელზეც კობაური ღიად არაფერს ამბობდა. ლორა სმიტის სხეულიდან ამოღებულია მალხაზ კობაურის გენეტიკური მასალა, რაც გამოძიებისთვის მწყემსის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებაა, თუმცა დაცვის მხარე ექსპერტიზის ამ დასკვნას ეჭვის თვალით უყურებს.

პროკურატურის ვერსიით, ლორა სმიტი ქმარ-შვილის მკვლელობას არ შესწრებია, რადგან ისინი კობაურმა ჩანჩქერიდან, დაახლოებით, 500 მეტრზე გაიტყუა. საგამოძიებო ექსპერიმენტით დადგენილია, რომ ჩანჩქერის სიახლოვეს მყოფი ქალი ვერც გასროლის ხმებს გაიგონებდა, შესაბამისად, პროკურატურაში ვარაუდობენ, რომ უკან მობრუნებულ მწყემსს მასთან მიახლოება არ უნდა გასჭირვებოდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დაცვის მხარეს კითხვებს უჩენს, ცხედრების ადგილმდებარეობაა. როგორც ცნობილია, ლორა სმიტის ცხედარი ჩანჩქერთან, წყალში იპოვეს, ბავშვის ცხედარი ამ ადგილიდან, დაახლოებით, 500 მეტრში იყო გადამალული, ხოლო რაიან სმიტის ცხედარი მკვლელობის ადგილიდან კილომეტრნახევარზე მეტი მანძილით იყო დაშორებული.

ლორა სმიტის ცხედარი 6 ივლისს იქნა აღმოჩენილი, მისი მეუღლის ცხედარი კი – მეორე დღეს. ხადას ხეობაში ალავერდის ჩანჩქერამდე ფეხით მისასვლელი მხოლოდ ერთი გზა არსებობს, შესაბამისად, მაშველებს ჯერ მამაკაცის, ხოლო მოგვიანებით ქალის ცხედარი უნდა ეპოვათ.

ადვოკატს მიაჩნია, რომ პოლიციამ კობაურის აღიარებითი ჩვენება ზეწოლის შედეგად მოიპოვა.

დანაშაული, რომელსაც მალხაზ კობაურს ედავებიან, 16-დან 20-წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. 12 ნაფიცი მსაჯული, რომელმაც ვერდიქტი უნდა გამოიტანოს, უკვე შეკრებილია, სასამართლო სხდომები გორის რაიონულ სასამართლოში მარტის პირველი კვირიდან დაიწყება.

ინტერნეტში ბათუმის სკოლის მოსწავლეების პირადი ცხოვრების კადრები გავრცელდა



სოციალურ ქსელში ბათუმის ერთ-ერთი კერძო სკოლის უფროსკლასელების პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა გავრცელდა.

ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

„2019 წლის 25 თებერვალს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება არასრულწლოვნის მიმართ გარყვნილი ქმედების და არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ინტერნეტ სივრცეში შესაძლო ატვირთვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილით და 157-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული უკავშირდება ბათუმის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მომხდარ ფაქტს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ინტერნეტ სივრცეში ატვირთვის ფაქტის და დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირის დადგენის მიზნით. დგინდება დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლის წესით ისჯება როგორც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ინტერნეტ სივრცეში ატვირთვა, ისე მისი შენახვა და ნებისმიერი ფორმით გავრცელება. კადრების შენახვა და გავრცელება ხელს უწყობს პირადი ცხოვრების ხელყოფის დანაშაულის მასშტაბების ზრდას. შესაბამისად, სრულიად მიუღებელია ბოლო პერიოდში გავრცელებული სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულია მხოლოდ კადრების შექმნა და ატვირთვა, ხოლო კადრების შენახვა და გავრცელება ნაკლებად მძიმე ფაქტია და სამართალდამცავები ასეთი ფაქტების მიმართ ლოიალურები უნდა იყვნენ. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა მოქმედი კანონმდებლობით ისჯება როგორც კადრების ატვირთვა, ისე შენახვა და გავრცელება. ცხადია, ასეთი სპეკულაციები მხოლოდ ახალისებს ახალი დანაშაულის ჩადენას, მათ შორის არასრულწლოვანთა შორის.

შესაბამისად, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საზოგადოებას, მსგავსი კადრების მიღების შემთხვევაში, არ შეინახოთ და არ გაავრცელოთ აღნიშნული მასალა, დაუყოვნებლივ წაშალეთ და აცნობეთ სამართალდამცავ ორგანოებს. ნუ გახდებით დანაშაულის თანამონაწილეები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები იძულებული იქნებიან დააყენონ როგორც ვიდეოს ამტვირთავის, ისე მისი შემნახავის და გამავრცელებლის პასუხისგებლობის საკითხი“ – აღნიშნულია განცხადებაში.

მირზა სუბელიანი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

– თუ საზოგადოებისთვის საჭიროა მე ვიჯდები, არ არის პრობლემა, – ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულმა მირზა სუბელიანმა 25 თებერვლის სასამართლო სხდომაზე განაცხადა.

მოსამართლე მისთვის აღკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხს განიხილავდა, რომლის დროსაც მხარეებმა საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს.

პროკურატურამ მირზა სუბელიანის პატიმრობაში დატოვება მოითხოვა.

დაცვის მხარემ კი, მირზა სუბელიანისთვის აღკვეთი ღონისძიების სახედ გირაოს 5 ათასი ლარის გამოყენება და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლება შესთავაზა სასამართლოს.

საბოლოოდ მირზა სუბელიანი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.

შემდეგი სხდომა 4 მარტს, 12:00 საათზე, დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვით გაგრძელდება.

გიორგი ონიანის სასამართლო 4 მარტისთვის გადაიდო

გიორგი ონიანის სასამართლო პროცესი 4 მარტისთვის გადაიდო.

პროცესი პაექრობის ეტაპით გაგრძელდება. საქმე ეხება მსჯავრდებულ გიორგი ონიანის ადმინისტრაციულ სარჩელს, სადაც შინაპატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხი განიხილება.

ონიანმა მოსახდელი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი საბჭოს უარი გაასაჩივრა.

გიორგი ონიანს საგამოძიებო უწყება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, მტკიცებულებების ფალსიფიკაციასა და პირისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ედავებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ონიანს ყველა ეპიზოდში გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, ონიანს საბოლოოდ თავისუფლების აღკვეთა 2 წლით განესაზღვრა. აქედან მას მოსახდელი 8 თვე დარჩა.

სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე 2 პირი დააკავეს

საგამოძიებო სამსახურმა სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ორი პირი დააკავა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები თაღლითური განზრახვით დაუკავშირდნენ სოციალურად დაუცველ ერთ-ერთ მოქალაქეს და დაარწმუნეს იგი, რომ თბილისის მერიის მაღალჩინოსნის დახმარებით, 5 000 ლარის გადახდის შემთხვევაში, შეძლებდნენ საცხოვრებელი ბინის მისთვის საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვით, ბრალდებულებმა მოქალაქეს წინასწარ მოსთხოვეს და გამოართვეს თანხის ნაწილი – 1 000 ლარი, რა დროსაც მოხდა მათი დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საუდის არაბეთის მეფე: „ბოლო მოვუღოთ ირანის ბირთვულ პროგრამას!“

საუდის არაბეთის მეფე სალმანმა ევროკავშირს რეგიონში ირანის პოლიტიკის წინააღმდეგ ძალისხმევის გაერთიანებისკენ მოუწოდა.

ამის შესახებ საუდის არაბეთის მეფემ ევროკავშირი-არაბთა სახელმწიფოების ლიგის სამიტზე განაცხადა, რომელიც 24 თებერვალს ეგვიპტეში გაიხსნა.

– ირანის რეჟიმის პოლიტიკა, მათ მიერ შეიარაღებული დაჯგუფებების მხარდაჭერა, აგრესია და სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევა ერთიან საერთაშორისო პოზიციას მოითხოვს, რათა ვაიძულოთ ისინი, დაიცვან კეთილმეზობლობის, საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ბოლო მოვუღოთ მათ ბირთვულ და სარაკეტო პროგრამას, – განაცხადა საუდის არაბეთის მეფემ.

მისივე თქმით, საჭიროა ერთიანი ქმედებების შემუშავება ტერორიზმისა და მისი დაფინანსების აღსაკვეთად.

არაბული სახელმწიფოების ლიგისა და ევროკავშირის სამიტი ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება. მხარეები განიხილავენ ტერორიზმთან ბრძოლის, არალეგალური მიგრაციის, რეგიონის სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებული კრიზისებისა და პალესტინის საკითხებს.

ტრამპი: „ჩინეთისთვის ტარიფების ზრდა გადაიდო!“

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ ჩინეთის საქონელზე საბაჟო გადასახადების გაზრდა გადაიდო. გადასახადი უნდა გაზრდილიყო 2019 წლის მარტში.

– გადასახადის გაზრდა გადაიდო. როდემდე? ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება აშშ–ჩინეთის მოლაპარაკებები, – თქვა ტრამპმა.

ლავროვს სირიაში სამხედრო პოლიციის გაგზავნა სურს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ სირიაში რუსეთის სამხედრო პოლიციის ჯგუფს გაგზავნიან და სირია–თურქეთის საზღვარზე განალაგებენ.

– ჯერ კიდევ 1998 წელს თურქეთსა და სირიას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც საზღვარზე უსაფრთხოების ზონები უნდა შექმნილიყო, რათა ტერორიზმი გაენეიტრალებინათ, – თქვა ლავროვმა.

მინისტრის აზრით, რუსეთის სამხედრო პოლიციის გაგზავნის მიზანიც ტერორიზმის განეიტრალებაა.

რუსეთის ქალაქებში ბორის ნემცოვის ხსოვნის მარში შედგა

რუსეთის დედაქალაქში ბორის ნემცოვის ხსოვნის მარში შედგა. მასში მონაწილეობა 14.000-მა ადამიანმა მიიღო.

– ჩვენ რუსეთი პუტინსა და მის ბანდას დავუთმეთ! დადგა დრო, რომ სამშობლო დავიბრუნოთ! – სკანდირებდნენ მომიტინგენი.

ანალოგიური აქცია პეტერბურგშიც ჩატარდა. ქუჩებში 20.000 ადამიანი გამოვიდა. მარშის მონაწილეებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები წარწერით: „პეტერბურგო, აღსდექ და თავისუფლებისთვის იბრძოლე!“

ნემცოვის ხსოვნის მარშები რუსეთის სხვა ქალაქებშიც ჩატარდა.

პოროშენკო: „რუსებს ძალის ენაზე უნდა ელაპარაკო!“

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ „ფოქს ნიუსს“ ინტერვიუ მისცა. კორესპონდენტმა ჰკითხა, პუტინის მუქარებს როგორ შეაფასებთო.

– დასავლეთი პუტინს მეტისმეტად ელოლიავება. რუსეთის პრეზიდენტიც გათამამდა! – მიუგო პოროშენკომ.

უკრაინის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთთან წესიერი, კულტურული საუბარი არ შეიძლება. ის ამას სისუსტედ აღიქვამს და კიდევ უფრო თავხედი ხდება.

– რუსები განსაკუთრებული მენტალიტეტის ხალხია! მათ როზგი და არაყი უყვართ! ამიტომ მხოლოდ ძალის ენაზე უნდა ელაპარაკო! – განაცხადა პოროშენკომ.

საპარლამენტო არჩევნები მოლდოვაში

კვირას მოლდოვაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად 12 პარტია თუ ბლოკი იბრძვის.

წინასწარი მონაცემებით, პრორუსულმა სოციალისტურმა პარტიამ ხმების 31% დააგროვა. შემდეგ მოდიან ასუმი – 26%, დემოკრატიული პარტია – 24%, შორი – 10%.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოებრივ ტუალეტში ხელების დაბანვამ გოგონას სახეზე წყლული გაუჩინა

ამერიკელმა გოგონამ საზოგადოებრივ ტუალეტში ხელები თხევადი საპნით დაიბანა და ბაქტერია Klebsiella oxytoca შეეყარა.

სამხრეთ კაროლინის შტატის მკვიდრმა რეჩელ სტარ უიზერსმა თხევადი საპნით რესტორანის ტუალეტში ისარგებლა. ამის შემდეგ მალევე მას სახეზე გამონაყარი გაუჩნდა, რომელიც დროთა განმავლობაში სისხლმდინარე წყლულად გადაიქცა. ექიმებმა 33 წლის გოგონას ორგანიზმში ენტერობაქტერიები Klebsiella oxytoca აღმოაჩინეს. გოგონას მკურნალობა რთულად მიმდინარეობს, ვინაიდან ეს ბაქტერიები ანტიბიოტიკების უმრავლესობას უძლებენ.

რეიჩელმა საკუთარი სახის ფოტოსურათი იმისთვის გამოაქვეყნა, რომ სხვა ადამიანები გააფრთხილოს იმ საფრთხის თაობაზე, რომელსაც საზოგადოებრივ ტუალეტებში დადგმული დისპენსერები შეიცავენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერი პრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველომ მსოფლიოს შესარჩევი მინორულად დაასრულა

საქართველო-ესტონეთი 77:84
(27:21, 15:27, 20:12, 15:24)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დაასრულა. ილიას ზუროსის განვრთნილმა გუნდმა 2-წლიან ციკლში ჯამში გამართული 12 მატჩიდან 5 მოიგო, 7 მარცხი განიცადა და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის 6-გუნდიან ჯგუფში მე-4 ადგილზე გავიდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ჯგუფის 3 საუკეთესო გუნდი – საბერძნეთი, გერმანია და სერბეთი იასპარეზებენ, რომელთა შემდეგაც საქართველო, ისრაელი და ესტონეთი განთავსდნენ.

ჯგუფში ბოლო ადგილზე გასულმა ესტონელებმა საკვალიფიკაციო შთამბეჭდავად დაასრულეს. ბალტიისპირელებმა ბოლოსწინა ტურში ტალინში სერბეთს სძლიეს, ბოლოს კი თბილისში საქართველოს ნაკრებსაც მოუგეს.

დიახ, საქართველოს ნაკრებმა ესტონეთის ნაკრბთან წააგო, რაც კარგად ჩატარებული საკვალიფიკაციო ტურნირის მოხდენილი დასასრული ნამდვილად არ გახლდათ. ერთია, საქართველოს ნაკრები თამაშობდა დიდი დანაკლისით, რასაც ბერძენი მწვრთნელი წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს. თუმცა, მარქაფა ვერ არის სათანადო დონის და ეს შინაური ჩემპიონატის ბრალი გვგონია.

თამაში ესტონელების 2-ქულიანით დაიწყო, რასაც ზუროსის გუნდმა 3-ქულიანით უპასუხა, თავი თად მაკფადენმა გამოიჩინა. მეოთხედის ერთ-ერთი გამოსარჩევი მომენტი ამერიკელი ლეგიონერის მეორე 3-ქულიანი იყო, რის შემდეგაც ზუროსის გუნდი 5 ქულით დაწინაურდა. მალევე უპირატესობა 7 ქულამდე გაიზარდა, ესტონელებს ტაიმაუტის აღება მოუწიათ. შესვენებამ სტუმართათვის შედეგი გამოიღო, მათ ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს, თუმცა მეოთხედის ბოლოს თად მაკფადენმა მესამე 3-ქულიანი ჩააგდო. მაკფადენს არც დუდა სანაძე ჩამორჩა და მომდევნო შეტევაში მისი ნასროლი 3-ქულიანიც ზუსტი აღმოჩნდა.

საბოლოოდ, პირველი მეოთხედი მასპინძლებმა 27:21 მოიგეს. ამ მეოთხედში გამოსარჩევია გიორგი შერმადინის შედეგიანობაც, რომელმაც 11 ქულა მიითვალა.

მეორე მეოთხედიც ანალოგიურად, ესტონელების 2-ქულიანით დაიწყო, საპასუხოდ სტუმრებმა დუდა სანაძის 3-ქულიანი მიიღეს. ამის შემდეგ უპირატესობა ესტონელების ხელში გადავიდა, დიდ შესვენებამდე 6:45 წუთით ადრე საიმონ სუტის 3-ქულიანით ქართველების უპირატესობა 2 ქულამდე შეამცირა. ილიას ზუროსს წუთშესვენების აღება მოუწია. მეოთხედის დასრულებამდე 4 ქულით ადრე კი ესტონელებმა 1 ქულით დაწინაურებაც შეძლეს, ზუროსმა წუთშესვენება მეორედ აიღო.

მესამე მეოთხედი საქართველომ აქტიურად დაიწყო, აღსანიშნავია გიორგი შერმადინის თამაში, რომელმაც 8 ქულა ჩააგდო. მეოთხედის დასრულებამდე 5:34 წუთით ადრე თად მაკფადენის ჩაგდებული ბურთით მასპინძლებმა ნანატრი უპირატესობა დაიბრუნეს. ბოლო მეოთხედის წინ საქართველო 2 ქულით იგებდა. ბოლო ქულა ახალგაზრდა რატი ანდრონიკაშვილმა ჩააგდო.

ბოლო 10-წუთიანი პერიოდის დასაწყისში დუდა სანაძე 3-ქულიანით გამოირჩა. ესტონეთმა რამდენიმე შეტევის შედეგად 3 ქულით დაწინაურება მოახერხა. შეხვედრის დასრულებამდე 4:55 წუთით ადრე ზუროსმა წუთშესვენების უფლება გამოიყენა. მასპინძლები თამაშში გიორგი ცინცაძის 2 ქულით დაბრუნდნენ. მომდევნო ეპიზოდში ესტონელებმა შეტევაში ბურთი დაკარგეს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველომ ამით ვერ ისარგებლა, ცინცაძემ ზედიზედ მეორედ ჩაგდება ვერ შეძლო. საბედნიეროდ, არაზუსტი ესტონეთის 3-ქულიანიც გამოდგა, საქართველომ კი არასპორტული ჯარიმის შედეგად 2 სროლის უფლება მოიპოვა. მაკფადენმა ორიდან ორი ჩააგდო!

მორიგი წუთშესვენების შემდგომი ეპიზოდი დუდა სანაძის არაზუსტი შორეული სროლით დასრულდა, მაკფადენს ჯარიმის აღება მოუწია, ორიდან 2 სროლა კი ზუსტი აღმოჩნდა – სტუმრები უკვე 5 ქულით იგებდნენ. საქართველოს მომდევნო შეტევა ანალოგიურად დასრულდა, სანაძემ ისევ ვერ ჩააგდო, აღებული ჯარიმის შემდეგ კი ორივე სროლა ზუსტი აღმოჩნდა.

ქართული რაგბის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი გარდაიცვალა

72 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად, გარდაიცვალა ქართული რაგბის ღვაწლმოსილი მორაგბე და მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი (პეტროვიჩი).

დუგლას კავთელაშვილი 1946 წელს ხაშურში დაიბადა. 1971 წლიდან ის თამაშობდა ქუთაისის საუკეთესო გუნდში, რომელიც ხშირად იცვლიდა სახელს, 1973 წელს თბილისის ლოკომოტივში, ხოლო 1974-1976 წლებში ნალჩიკის კლუბში.

8 ნომრისთვის აუცილებელი ჯან-ღონისა და აგრესიის გარდა, გამოირჩეოდა იშვიათი ტაქტიკური ალღოთი, ტექნიკური სინატიფით და ჯარიმების შორიდან გატანის უნარით.

რაგბის მწვრთნელობა 1986 წლიდან დაიწყო და გუნდს მალევე დაატყო საკუთარი ხელი – აიამ 4 წელიწადში 5 ტიტული მოიპოვა: ზედიზედ სამჯერ (1987, 1988, 1989) წლებში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ორჯერ შემართა სსრკ-ს თასი (1987, 1990). მისი წარმატებები სათანადოდ დაფასდა და 1988-90 წლებში საბჭოეთის ნაკრების მწვრთნელად იღვწოდა.

1989 წელს, კავთელაშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული რაგბის დესპანების ირბ-ს (მსოფლიო რაგბი) თავკაცებთან დაახლოებაში, რითაც დააჩქარა ჩვენი რაგბის საერთაშორისო აღიარება.

აიამ დამოუკიდებლობის ხანაში სამჯერ (1990, 1991, 1995) მოიგო ეროვნული პირველობა, ბატონმა დუგლასმა კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად (1994-1995) ყოფნისას ოთხივე ტესტში იმარჯვა (ყაზახეთი, შვეიცარია, ბულგარეთი, მოლდოვა).

ხვიჩა კვარაცხელია: „მოედანზე გასვლას ველოდები“

მოსკოვის ლოკომოტივის ვებგვერდმა ქართველ ახალწვეულ ხვიჩა კვარაცხელიასთან ინტერვიუ ჩაწერა. ახალგაზრდა მოთამაშემ, რომელმაც ამხანაგურ მატჩში გოლის გატანაც მოასწრო, სხვადასხვა საკითხზე ისაუბრა.

– თბილისში დავიბადე, ერთ ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში, სადაც დედა, მამა და 2 ძმა მყავს. ფეხბურთს აღმერთებენ... გულშემატკივრობენ საქართველოს ნაკრებსა და იმ გუნდს, სადაც ვთამაშობ. მათ ფეხბურთი ძალიან უყვართ. მამაჩემი თვითონაც ყოფილი ფეხბურთელია და ამ სპორტს ბავშვობიდან ვუყურებ, სტადიონზეც დავდიოდით, ეზოში დავრბოდი. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ფეხბურთელი გავხდებოდი.

– სად დაიწყე ფეხბურთის თამაში?

– პირველად ოლიმპიკის აკადემიაში ვიყავი, შემდეგ იყო ავაზა, შემდეგ – თბილისის დინამოში. ეს ძალიან კარგი სკოლაა – იქ მოკლე პასებით თამაში, სწრაფად გადაადგილება, გახსნა ვისწავლე. პროფესიონალურ ფეხბურთში დებიუტიც ამ გუნდში მქონდა, გასული სეზონი კი რუსთავში გავატარე.

– რა იცოდი ლოკომოტივის შესახებ?

– ლოკო რუსეთის ჩემპიონია. ეს შესანიშნავია. როცა მათი შემოთავაზების შესახებ გავიგე, წამითაც არ მიფიქრია. ასეთ კლუბში თამაში ოცნების ახდენას ჰგავს.

– ამ გუნდში ქართველები ყოველთვის იყვნენ.

– და წარმატებაც მოჰქონდათ. ჰო, ბიჭებმა ეს უკვე მითხრეს. ვიცი, რომ აქ ზაზა ჯანაშია და მალხაზ ასათიანი თამაშობდნენ. მათ საქართველოში ყველა იცნობს. ასე რომ, თავს ჩემს ადგილზე ვგრძნობ.

– საბა კვირკველიას იცნობდი?

– არა, პირველად აქ შევხვდით. საბა ენობრივი ბარიერის დაძლევაში მეხმარება. ბიჭებიც გამაცნო. რუსულად ბევრი რამ მესმის, მაგრამ ვერ ვლაპარაკობ. აუცილებლად ვისწავლი, გპირდებით. საბა რომ არ იყოს, გამიჭირდებოდა.

– ვიკინგთან ითამაშე და გაიტანე. რას იტყვი?

– კარგი თამაში იყო. მოედანზე პარტნიორებს ვგრძნობდი და გავუგე. გოლი გამიხარდა, მაგრამ ემოციები ვერ გამოვხატე – შემრცხვა. გოლი დამატებითი სტიმულია ჩემთვის.

– ამ დროის მანძილზე ყველაზე მეტად ვის დაუმეგობრდი?

– ყველა მეგობრულია. უფრო ახლოს იმათთან ვარ, ვისთანაც საბა ურთიერთობს. დიმა ბარინოვი, რიფატი, ტარასოვი. რა თქმა უნდა, თვითონ საბა.

– მოსკოვში აქამდე ნამყოფი იყავი?

– არასდროს. საინტერესოა, როგორი ქალაქია. მონაყოლით მისი მასშტაბი შთამბეჭდავია, განსაკუთრებით, პატარა საქართველოს შემდეგ. თავიდან ბაზაზე ვიცხოვრებ. შემდეგ კი მინდა ჩემი მშობლებიც ჩამოვიდნენ და ყველაფერი ვანახო. შესაძლოა, მათთვის ბინაც ვიქირავო. ვნახოთ, როგორ იქნება საქმეები.

– გადმოსვლამდე რუსეთის ჩემპიონატს თუ უყურებდი?

– ხანდახან საინტერესო თამაშებს, ლიდერების მატჩებს ვუყურებდი. აქ გადმოსვლამდე კი, რა თქმა უნდა, ლოკომოტივი დეტალურად შევისწავლე. საინტერესო ჩემპიონატია. ბევრი ორთაბრძოლაა, თუმცა კრეატივის დროც რჩება. ვიმუშავებ და მოედანზე გასვლას დაველოდები.

შედეგები

25 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი
ფინალი

ჩელსი-სიტი ..... 0:0(3:4პ)

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-საუთჰემპტონი 2:0
მანჩესტერი-ლივერპული 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	27	21	2	4	74-20	65
2.ლივერპული	27	20	6	1	59-15	66
3.ტოტენჰემი	27	20	0	7	55-27	60
4.არსენალი	27	16	5	6	55-37	53
5.მანჩესტერი	27	15	7	5	52-35	52
6.ჩელსი	26	15	5	6	45-29	50
7.უოტფორდი	27	11	7	9	39-35	40
8.ვულვზი	27	11	7	9	35-34	40
9.ვესტ ჰემი	27	10	6	11	35-40	36
10.ბორნმუთი	27	10	4	13	38-48	34
11.ევერტონი	27	9	6	12	36-39	33
12.ლესტერი	27	9	5	13	32-38	32
13.კრ.პალასი	27	8	6	13	31-35	30
14.ბარნლი	27	8	6	13	31-48	30
15.ნიუკასლი	27	7	7	13	24-34	28
16.ბრაიტონი	26	7	6	13	28-39	27
17.კარდიფი	27	7	4	16	25-52	25
18.საუთჰემპტონი	27	5	9	13	28-46	24
19.ფულემი	27	4	5	18	26-61	17
20.ჰადერსფილდი	27	2	5	20	14-50	11

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლეგანესი-ვალენსია 1:1
ატლეტიკო-ვილიარეალი 2:0
ვალიადოლიდი-ბეტისი 0:2
ლევანტე-რეალი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	25	17	6	2	65-25	57
2.ატლეტიკო	25	14	8	3	36-17	50
3.რეალი	25	15	3	7	43-30	48
4.ხეტაფე	25	10	9	6	32-22	39
5.სევილია	25	10	7	8	40-32	37
6.ალავესი	25	10	7	8	25-28	37
7.ბეტისი	25	10	6	9	29-30	36
8.სოსიედადი	24	9	7	8	30-25	34
9.ვალენსია	25	6	15	4	25-21	33
10.ბილბაო	25	7	12	6	25-28	33
11.ეიბარი	25	7	10	8	33-35	31
12.ლეგანესი	25	7	9	9	26-31	30
13.ლევანტე	25	8	6	11	37-45	30
14.ესპანიოლი	25	8	6	11	28-38	30
15.ხირონა	24	6	9	9	25-34	27
16.ვალიადოლიდი	25	6	8	11	19-31	26
17.სელტა	25	6	7	12	36-43	25
18.ვილიარეალი	25	4	11	10	26-33	23
19.რაიო	25	6	5	14	28-43	23
20.უესკა	25	4	7	14	24-41	19

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიხონი-მაჰადაონდა 2:3
ალმერია-კორდობა 3:1
ლუგო-ელჩე 2:2
მალაგა-დეპორტივო 0:0
ესტრემადურა-ნუმანსია 0:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰანოვერი-აინტრახტი 0:3
დორტმუნდი-ლევერკუზენი 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	23	16	6	1	57-25	54
2ბაიერნი	23	16	3	4	51-26	51
3.გლადბახი	23	13	4	6	42-25	43
4.ლაიპციგი	22	12	5	5	41-19	41
5.ვოლფსბურგი	23	11	5	7	38-30	38
6.აინტრახტი	23	10	7	6	44-28	37
7.ლევერკუზენი	23	11	3	9	41-35	36
8.ჰოფენჰაიმი	22	8	9	5	44-32	33
9.ვერდერი	23	8	8	7	38-34	32
10.ჰერტა	23	8	8	7	35-33	32
11.მაინცი	23	8	6	9	26-36	30
12.ფორტუნა	23	8	4	11	27-42	28
13.ფრაიბურგი	23	6	9	8	34-38	27
14.შალკე	23	6	5	12	25-35	23
15.აუგსბურგი	23	4	6	13	32-45	18
16.შტუტგარტი	23	4	4	15	19-51	16
17.ჰანოვერი	23	3	5	15	20-50	14
18.ნიურნბერგი	23	2	7	14	18-48	13

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

მაგდებურგი-პადერბორნი 1:1
აუე-დუისბურგი 0:0
რეგენსბურგი-ჰამბურგი 2:1

იტალია. სერია ა

სამპდორია-კალიარი 1:0
ბოლონია-იუვენტუსი 0:1
კიევო-ჯენოა 0:0
სასუოლო-სპალი 1:1
პარმა-ნაპოლი 0:4
ფიორენტინა-ინტერი 3:3

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	25	22	3	0	53-15	69
2.ნაპოლი	25	17	5	3	46-18	56
3.ინტერი	25	14	5	6	37-20	47
4.მილანი	25	12	9	4	38-22	45
5.რომა	25	12	8	5	49-33	44
6.ატალანტა	25	11	5	9	51-36	38
7.ტორინო	25	9	11	5	30-22	38
8.ლაციო	24	11	5	8	33-27	38
9.ფიორენტინა	25	8	12	5	40-29	36
10.სამპდორია	25	10	6	9	41-32	36
11.სასუოლო	25	7	10	8	35-40	31
12.ჯენოა	25	7	8	10	32-41	29
13.პარმა	25	8	5	12	25-37	29
14.კალიარი	25	5	9	11	21-36	24
15.სპალი	25	5	8	12	22-37	23
16.უდინეზე	24	5	7	12	19-31	22
17.ემპოლი	25	5	6	14	30-48	21
18.ბოლონია	25	3	9	13	19-38	18
19.ფროზინონე	25	3	7	15	19-49	16
20.კიევო	25	1	10	14	19-48	10

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ლივორნო-ვენეცია 1:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

მონპელიე-რეიმსი 2:4
ნანტი-ბორდო 1:0
ტულუზა-კაენი 1:1
რენი-მარსელი 1:1
მონაკო-ლიონი 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	25	22	2	1	77-14	68
2.ლილი	26	15	6	5	43-23	51
3.ლიონი	26	13	7	6	40-30	46
4.სტ.ეტიენი	26	12	7	7	36-31	43
5.მარსელი	26	12	5	9	41-35	41
6.რეიმსი	26	10	11	5	27-24	41
7.მონპელიე	26	9	11	6	34-28	38
8.სტრასბური	26	9	10	7	41-30	37
9.რენი	26	10	7	9	35-34	37
10.ნიცა	26	10	7	9	19-27	37
11.ნიმი	26	10	6	10	37-38	36
12.ანჟე	26	8	9	9	29-29	33
13.ბორდო	26	8	8	10	25-27	32
14.ნანტი	26	8	6	12	31-34	30
15.ტულუზა	26	6	10	10	25-37	28
16.მონაკო	26	6	7	13	26-41	25
17.ამიენი	26	7	3	16	20-40	24
18.კაენი	26	3	11	12	21-34	20
19.დიჟონი	25	5	5	15	20-39	20
20.გენგამი	26	4	6	16	18-50	18

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

დენ ჰააგი-აიაქსი 1:5
პსვ-ფეინოორდი 1:1
ემენი-ვიტესი 0:3
ტილბურგი-ალკმაარი 2:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სანტა კლარა-ნასიონალი 2:0
ბოავიშტა-რიუ ავე 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-იანგ ბოიზი 0:1
თუნი-გრასჰოპერსი 1:1
ვიურიხი-ლუცერნი 1:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰამილტონი-რეინჯერსი 0:5
სელტიკი-მოზერველი 4:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

მატერსბურგი-შტურმი 1:1

შტურმის გოლი
ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა

ჰარტბერგი-სტ.პოლენი 1:1
რაპიდი-ზალცბურგი 2:0

ბელგია. ა დივიზიონი

ანდერლეხტი-ბრიუგე 2:2
გენკი-ატვერპენი 0:0
სტ.ტრუიდენი-შარლერუა 3:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანიონიოსი-პანათინაიკოსი 2:0
ქსანთი-ლევადიაკოსი 0:1
ლამია-ლარისა 2:1
პაოკი-არისი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ერზრუმი 2:1
ქონია-ქაისერი 0:1
გალათასარაი-აქჰისარი 1:0
ბაშაქშეჰირი-ბურსა 3:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

სპარტა-ბანიკი 3:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეგნიცა-პლოცკი 2:1
კრაკოვია-იაგელონია 1:0

უკრაინა. პრემიერლიგა

არსენალი-დესნა 0:2
ვორსკლა-კარპატი 0:4

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-ესბიერგი 2:0
ჰორსენსი-ოსტენდე 1:2
ორხუსი-მიდტიულანდი 1:2
ბრონდბიუ-რანდერსი 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტორპედომ სუპერთასი შეინარჩუნა

საბურთალო-ტორპედო 0:1
გორი. თენგიზ ბურჯანაძე
0:1 გიგაური (70)

საბურთალო: მიგინეიშვილი, ჩაბრაძე, მარგველაშვილი, კაკუბავა, ლაკვეხელიანი, გი (გვარაძე 59), გორგიაშვილი, დიასამიძე (გოშთელიანი 75), ტერა (ალთუნაშვილი 70) გონსალვეში, კოხრეიძე

ტორპედო: კვასხვაძე, ცინცაძე (ჩაჩუა 77), გიგაური, ქავთარაძე, ზივზივაძე (კაპანაძე 85), აზაცკი, სტიეპოვიჩი, გეგეჭკორი, დოლიძე (წიქარიძე 63), ქიმაძე, კობახიძე

გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონმა საქართველოს 2019 წლის სუპერთასის გათამაშებას უმასპინძლა, სადაც ქვეყნის ჩემპიონი საბურთალო, საქართველოს თასის გამარჯვებულს – ქუთაისის ტორპედოს დაუპირისპირდა, მატჩი ქუთაისელთა გამარჯვებით დასრულდა, შეხვედრაში ერთადერთი გოლი მერაბ გიგაურმა 70-ე წუთზე გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის ტორპედომ პირველად სუპერთასი 2018 წელს მოიპოვა, წელს კი ტიტულის შენარჩუნება შეძლო. საქართველოს საფეხბურთო სუპერთასი წელს პირველად სახელობითია და ის სლავა მეტრეველის სახელს ატარებს და ახალი, შესაბამისი დიზაინის თასიც დამზადდა.

ერთმანეთის პირისპირ საქართველოს 2018 წლის ჩემპიონი თბილისის საბურთალო და საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გამარჯვებული, ქუთაისის ტორპედო წარდგნენ.

იმის გამო, რომ ეს 2019 წლის სეზონის პირველი მატჩი იყო და გუნდები არ არიან ოპტიმალურ ფორმაში, სანახაობრივი თამაში არ გამოვიდა. პირველ ტაიმში ცოტა სახიფათო მომენტი შეიქმნა და ლოგიკური შედეგი, უგოლო ფრე დაფიქსირდა.

მეორე ნახევარში გუნდებმა უფრო აქტიურად შეუტიეს, თუმცა უპირატესობას ტორპედო ფლობდა. აქტიური იყო ქუთაისელთა ახალი ფორვარდი ბუდუ ზივზივაძე, რომელსაც არაერთხელ შეეძლო ანგარიშის გახსნა. კარგად თამაშობდა დედაქალაქელთა მეკარე ომარ მიგინეიშვილი, რომელმაც გუნდი გაშვებული გოლისგან რამდენჯერმე იხსნა.

70-ე წუთზე მიგინეიშვილიც უძლური იყო: გოლი სტანდარტულს მოჰყვა – ქუთაისელთა სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა, ცინცაძის ჩაწოდების შემდეგ კი თავი სწორედ გიგაურმა გამოიჩინა. შედეგად, ტორპედო დაწინაურდა და საქმე გამარჯვებამდე უპრობლემოდ მიიყვანა.

ქუთაისური კლუბი საქართველოს სუპერთასის მფლობელია!

კახა ჩხეტიანი:

– ორივე გუნდმა კარგად ითამაშა, თუმცა ტორპედომ ერთით მეტი გაიტანა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ბიჭებს ასეთი თამაშისთვის, საბურთალოს კი წარმატებები ვუსურვო. საოცარი გრძნობაა – დილით დაბადების დღეს მილოცავდნენ, შემდეგ ჩემს ძმას ვაჟი შეეძინა, ახლა კი სუპერთასი მოვიგეთ. ამაზე ბედნიერი დღე რა უნდა იყოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფულით გადატვირთული თვითმფრინავი აყირავდა

ნიგერიაში თვითმფრინავმა, რომელიც ფულით სავსე ტომრებით იქნა დატვირთული, აფრენა ვერ შეძლო.

აღნიშნული შემთხვევა ვიდეოზე ცნობილმა ნიგერიელმა გამომცემელმა და ჟურნალისტმა დელე მომოდუმ გადაიღო. ვიდეორგოლში, რომელიც მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა, ჩანს, რომ მომცრო თვითმფრინავის კუდის ნაწილი დიდი წონის გამო ასაფრენ ზოლს ეხება, ხოლო ცხვირის წინა ნაწილი ჰაერშია აწეული. მის გარშემო კი ხალხი ფუსფუებს, რომლებიც პრობლემის მოგვარებას ცდილობენ.

– ეს ალბათ ნიგერიული კინოა, – დაწერა მომოდუმ სოციალურ ქსელში, – თვითმფრინავი უკან იმის გამო გადავარდა, რომ მეტისმეტად ბევრი ფულით სავსე ტომრებით გაავსეს... საკუთარ თვალებს ვერ ვუჯერებ...

ჟურნალისტს და გამომცემელს არ დაუზუსტებია თუ რა ფულით იყო თვითმფრინავი დატვირთული და სად იყო დაგეგმილი მისი გადატანა.

ორმა ჩინელმა ბაზარში აღმოჩენილი ზღვის ღორი გადაარჩინა

ჩინეთის მცხოვრებლებმა უიშვიათესი ზღვის ღორი ერთ-ერთ ადგილობრივ ბაზარში აღმოაჩინეს და ის ისევ ზღვაში გაუშვეს. ჩენ მინიუემ და ჩენ ცზიანჩჟუანმა ძუძუმწოვარა ცხოველი ბაზარში 1,5 ათას იუანად გასაყიდად გამოყვანილი შემთხვევით ნახეს.

– ჩვენ დავინახეთ ადამიანი, რომელსაც ის ბაზარში ჰყავდა მოყვანილი, ხოლო ხალხის დიდი ბრბო მას ათვალიერებდა. მთელი იმ ხნის მანძილზე ცხოველს თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა, – იხსენებს მინიუე.

მამაკაცებმა იფიქრეს, რომ მათ წინ დელფინი იყო. თუმცა ადგილობრივმა ექსპერტებმა ცხოველი დაათვალიერეს და დაასკვნეს, რომ მისი მინიატურული სახე და სწორი ფარფლები ზღვის ღორის დამახასიათებელი ნიშნები იყო. მაშინ მინიუემ და ცზიანჩჟუანმა ცხოველი გამოისყიდეს, მოათავსეს სპეციალურ ბადეში, რომელიც მეთევზისგან ითხოვეს. მათ 1,7 მეტრი სიგრძის ცხოველი ზღვაში იმ სიღრმემდე შეაცურეს, საიდანაც ის თავისუფლად ცურვას შეძლებდა და გაუშვეს. ზღვის ღორი გადაშენების პირას მყოფ სახეობად ითვლება და ის წითელ წიგნშია შეტანილი.

სილამაზის კონკურსის ყოფილ მონაწილეს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა

ტაილანდში სასამართლომ სილამაზის კონკურსის ყოფილი მონაწილის მიმართ წაყენებული ბრალდების საქმე განიხილა. ის 16 წლის მოსამსახურის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი.

გოგონა 47 წლის კრისან სუვანპიტაკთან 2012 წლის აპრილიდან მუშაობდა. ის მოსამსახურეს ხშირად სცემდა დაუმორჩილებლობის გამო. 2012 წლის 11 აპრილს მან რამდენჯერმე ჩასცხო მოსამსახურე გოგონას თავში აეროზოლის ქილა, უთავაზა მტვერსასრუტის მილი და ასევე თმების გასასწორებელი ცხელი უთოთი მიაყენა დამწვრობები. გოგონა მეორე დღეს გარდაიცვალა.

კრისანამ გარდაცვლილი თავის უმცროს ძმასთან და მის მეგობარ გოგონასთან ერთად ღობის მახლობლად პალმის ძირში ჩაფლა. დაღუპული გოგონას დედას უთხრეს, რომ ის გაიქცა. ქალმა სიმართლე ანონიმური ზარის წყალობით შეიტყო, რომელიც 2017 წელს მიიღო. უცნობმა მას უთხრა, რომ მისი შვილი მოკლული იყო და აუხსნა, თუ სად იყო მისი ცხედარი დამალული. ინფორმაცია დადასტურდა. ერთ თვეში კრისანი, მისი ძმა და მისი მეგობარი გოგონა დააპატიმრეს.

სამივე მათგანი დამნაშავედ იქნა ცნობილი. კრისან

სუვანპიტაკს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. გარდა ამისა, მას დაღუპული გოგონას დედისთვის მილიონი ბატის გადახდა მოუწევს. თუ ამ თანხის გადახდა გაჭიანურდება, მაშინ მას წელიწადში თანხის კიდევ 7,5 პროცენტი დაემატება. ქალის უმცროს ძმას ერთი წლით პატიმრობა მიესაჯა, ხოლო მისი მეგობარი ქალი ერთ წელს და ოთხ თვეს გაატარებს ციხეში.

აზერბაიჯანელმა მოდელმა ქალწულობა დედის გამო გაყიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხოვროს. მაშინ 23 წლის მამედზადემ განმარტა, რომ ეს ნაბიჯი დედის გამო გადადგა.

– აქამდე დედა ჩემთვის ყველაფერს აკეთებდა, ახლა კი ჩემი რიგი დადგა, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ მან ჩემით იამაყოს, – განმარტა გოგონამ.

აუქციონი რამდენიმე დღის წინ დასრულდა. მყიდველი ვინმე იაპონელი პოლიტიკოსი გახდა ტოკიოდან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას მცირედით ჩამორჩა ლონდონელი ადვოკატი, ხოლო მესამე ადგილზე „ცნობილი ფეხბურთელი მიუნხენიდან“ გავიდა. მამედზადე მყიდველთან ღამეს გერმანიის ერთ-ერთ სასტუმროში გაატარებს, სადაც მსგავსი მომსახურება ლეგალურად ითვლება. ასევე გოგონამ უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება, რომელმაც მისი ქალწულობა დაადასტურა.

მყიდველის მიერ გადახდილი თანხის ოც პროცენტს ვებ-გვერდი წაიღებს. დარჩენილი თანხით, გოგონა დედისა და თავისთვის სახლის შეძენას, მოგზაურობას, აშშ-ში გადასვლას, სამოდელო კარიერის გაგრძელებას და აზერბაიჯანში ძაღლებისთვის თავშესაფრის შექმნას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 თებერვლისთვის

ვერძი – თავს კომფორტულად და გაწონასწორებულად გრძნობთ. ფულის უანგარიშო ხარჯვას ერიდეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, არ გადაიღალოთ. **კურო** – თქვენი ენამახვილობა და სილაღე გადამდებია. გარშემომყოფებს ხალისსა და ბედნიერებას ანიჭებთ. ახალი საქმის დაწყება გამართლებულია. **ტყუპები** – საზოგადოების სული და გული ხართ. ირგვლივ მყოფებს ახარებთ და სტიმულს აძლევთ. შემოთავაზებულ წინადადებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ახალ სამსახურში გადასვლა დააპიროთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეინიშნება. ზედმეტი ხელგაშლილობა მიუღებელია. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ჯანმრთელობას მიხედეთ. მთავარი სწორი კვებაა. კარგი იქნება, თუ მხოლოდ პირადი საქმეებით დაკავდებით. **სასწორი** – ინტიმური შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს მაქსიმალური თავშეკავება და ტაქტი მოგეთხოვებათ. **ღრიანკალი** – თამამად გარისკეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. საკმაოდ სარფიან შემოთავაზებას მიიღებთ. **მშვილდოსანი** – მარსის მფარველობის მეოხებით თქვენი ენერგეტიკული და სექსუალური პოტენციალი იზრდება. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** – ნებისმიერი საქმის შესრულებისას ყურადღებით იყავით. ნუ იჯიუტებთ. აქტიურობას ერიდეთ. **მერწყული** – რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კოლეგებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტი და ლოიალობა გამოიჩინეთ. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. კარგი იქნება სუფთა ჰაერზე გასეირნება და დასვენება კომფორტულ, მყუდრო გარემოში.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ქართული ზღაპრების პერსონაჟი; 2. გამოძახილი ანუ...; 3. უცხოური ვალუტის ფასის დადგენა ბირჟაზე; 4. წყლის მოსაპოვებლად გაჭრილი ღრმა ორმო; 5. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 6. ინდოეთის დედაქალაქი; 7. ხეხილის ბაღი; 10. კომბინაცია პოკერში; 11. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 12. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 13. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 18. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 19. საჭმელი სოკო; 21. სუბტროპიკული ხილი; 24. აფრიკული ცხოველი.

თარაზულად: 1. ქართველი მწერალი; 3. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. უბანი თბილისში; 14. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 15. პორტუგალიური ღვინო; 17. სუფთა გამარჯვება ჭიდაობაში; 20. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 22. გაზაფხულის თვე; 23. დიპლომატიური კურიერის, სპეციალური დალუქული ჩანთა; 25. ბუნებრივი წყალსაცავი; 26. შაქრის ლერწმის არაყი; 24. ვერდის ოპერა; 28. კონგოს დედაქალაქი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პარმაღი; 5. ჭინკა; 7. სიდონია; 9. ილიამნა; 10. მასხარა; 13. რეგრესი; 14. ხარატი; 15. ამია; 19. პროცესი; 20. კატაკანა; 21. ალიგატორი; 22. ღამურა.

შვეულად: 1. პრაიდი; 2. მაჭარი; 3. ნიველირი; 4. ვივაჩე; 6. კალაპოტი; 8. ონაგრი; 11. კასანდრა; 12. ამარეტო; 16. მერილ; 17. ტანგო; 18. იუნგა.

სკანვორდის პასუხები:

1. ლიძავა; 2. ბრეტანი; 3. ბიბლუსი; 4. ბერძენი; 5. პროლოგი; 6. დერვიში; 7. ხოტა; 8. რანდა; 9. ბაღლინჯო 10. ღატაკი; 11. ნიელო; 12. ფიდე; 13. ლეი; 14. რო; 15. ფოლიანტი; 16. იო; 17. ნიანგი; 18. იფი; 19. ლიგა; 20. პატიო; 21. შუ; 22. გორილა; 23. ამინ; 24. ციმბალი; 25. ნატრი; 26. ალენ; 27. ილი; 28. სან; 29. პანორამა; 30. პიციკატო; 31. ჩიკ; 32. კატლეტი.

სერათებზე: მეგი ჯილენჰალი; ედინ ჯეკო.

მამაკაცმა აგრესიული კოიოტი ყავის ჭიქით მოიგერია

ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა მამაკაცმა აგრესიული კოიოტის თავიდან მოშორება ყავის დიდი ჭიქის საშუალებით მოახერხა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ვან პული სახლის გარეთ იმყოფებოდა, როდესაც გზაზე მტაცებელი ცხოველი შენიშნა.

– ჩემი ძაღლი და კოიოტი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ორთაბრძოლისთვის მზად იყვნენ, – იხსენებს ამერიკელი. მან ცხოველების ერთმანეთისგან დაშორიშორება მოახერხა, თუმცა კოიოტი მას თავს დაესხა.

– ის ფეხებში მეცა, მაგრამ მე მას თავში ყავის ჭიქა ჩავცხე, მან პირი არ გამიშვა და მაშინ განმეორებით ჩავარტყი, ის სახეში მეცა. ამ მომენტში უკან გავხტი და ისევ ვუთავაზე თავში ჭიქა. მან შეყმუვლა და დაეცა, – ყვება ვან პული.

მამაკაცმა თავისი ძაღლი ხელში აიტაცა და სახლისკენ გაიქცა. კოიოტი მაინც არ მოეშვა და უკან გამოეკიდა. ამის შემდეგ პულმა პისტოლეტს დასტაცა ხელი და ავტომობილში დაიმალა. შემდეგ ნელ-ნელა ჩამოსწია ფანჯრის მინა და მტაცებელ ცხოველს ოთხჯერ ესროლა. ამ ინციდენტის შედეგად თავად მამაკაცი არ დაშავებულა, ხოლო მის ძაღლს სამედიცინო გამოკვლევა უტარდება.

ვეგეტარიანელები ირემს საკუთარი სხეულით გადაეფარნენ

საფრანგეთში მონადირემ რამდენჯერმე ესროლა ვეგეტარიანელ ცხოველთა დამცველებს, რომლებიც მას ირმის დევნაში ხელს უშლიდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი ალბის ოლქში მდებარე კომუნა კასტელნოდე-მონმირალში იქნა გადაღებული. ის სოციალურ ქსელში ფრანგმა კომიკოსმა და ცხოველთა დამცველმა რემი გაიარმა გამოაქვეყნა.

ვიდეოზე ცხოველთა დამცველები ცდილობენ ირემი საკუთარი სხეულებით დაიფარონ მონადირე ძაღლებისგან. მოულოდნელად ისმის სროლის ხმა.

– ის ჩვენ გვესვრის, ეს ნაძირალა! – ყვირის ერთ-ერთი ვეგეტარიანელი. რის პასუხადაც მონადირე უყვირით:

– პირველი ვინც ჩემსკენ გამოიწევს, ჩათვალეთ, რომ მკვდარია. სულ ფეხებზე მკიდია, რომ მიღებენ! თქვენ ჩემ ძაღლებს ეხებით, მათ თავს ესხმით! ამ შემთხვევაში მე უბრალოდ მათ ვიცავ!

ცხოველთა დამცველები შეეცადნენ მონადირისთვის აეხსნათ, რომ ისინი მისი ძაღლებისთვის ზიანის მიყენებას არ აპირებდნენ, მაგრამ მან მათ ამ ნათქვამს იგნორირება გაუკეთა.

საბოლოოდ ირემი გადაღლისგან გამოწვეული გულის შეტევისგან გარდაიცვალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები უღრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ თვალსაჩინო ისტორიკოსის, საქართველო-კავკასიის ისტორიული ურთიერთობების ბრწყინვალე მკვლევარის

ლეილა მარგოშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ გამოჩენილი ისტორიკოსის, საქართველო-კავკასიის ისტორიული ურთიერთობების ბრწყინვალე მკვლევარის

ლეილა მარგოშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს.

კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ისტორიკოსი

ლეილა მარგოშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მარკუს მეტრეველმა ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა მარკუს მეტრეველმა ახალ სიმღერაზე ახალი კლიპი გადაიღო. „ისევ მენატრები“ – ასე ჰქვია მაიკო კაჭკაჭიშვილის სიმღერას, რომლის ტექსტიც მომღერალმა ქეთი ორჯონიკიძემ დაწერა.

ვიდეოკლიპი მარკუსის ახალ სიმღერაზე რეჟისორმა სანდრო ნადირაძემ გადაიღო. გადაღებები წყალტუბოში მიმდინარეობდა. მომღერალთან ერთად კლიპში სამოდელო სააგენტო კარტინის მოდელები მონაწილეობენ.

ახალი სიმღერა მარკუს მეტრეველმა სტუდია „ბრავო რექორდსში“ ჩაწერა. მისი არანჟირების ავტორი ბორიკო შხიანია.

სიმღერა და ვიდეოკლიპი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

თამარ ივერი ბოშების აგრესიისგან შეწუხებულია

ოპერის მომღერალი თამარ ივერი დედაქალაქის ტურისტულ უბნებში ბოშების აგრესიისგან შეწუხებულია. მომღერალი დახმარებას ხელისუფლებას სთხოვს:

– გვიშველოს პოლიციამ რამე, აღარ არის სუნთქვა მათგან! სირცხვილია ეს ქვეყნის! სახელმწიფო მხოლოდ ფეშენებელური ხინკლის და მწვადის რესტორნები არაა... სტუმრის კომფორტიდან იწყება ყველაფერი. ბევრჯერ მეც ამკიდებიან და შიშით ძლივს მომიშორებია ისინი. თუ ფულს არ მისცემ, გწყევლიან, მანქანაზე მუშტს გირტყამენ. ეს უკვე მეტისმეტია! სახელმწიფო სრულიად უმოქმედოა ამ ბოშების მიმართ! მთავარია 2 გრამი მარიხუანა უპოვონ ვიღაცას ჯიბეში! მრცხვენია!

ქეთი დოლიძე: „არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში არასდროს და არსად არ შევდივარ და არ ვიქნები!“

ასეთ განცხადებას აკეთებს რეჟისორი ქეთი დოლიძე და არ მალავს, რომ ის ზაფხული ენატრება, როცა ბიძინა ივანიშვილის წყალობით მთელი საქართველო მოიარა:

– მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ვუჭერ მხარს ეკა ბესელიას მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის მიუღებლობის შესახებ, ვაცხადებ, რომ არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში არასდროს და არსად არ შევდივარ და არ ვიქნები! ჩემს სათქმელს კი ყოველთვის ვიტყვი, დაუფარავად!

ვერასდროს ვერ მივიღებდი და ვერ მივიღე რესპუბლიკელების მიერ „ოცნებისთვის“ თავს მოხვეული კოაბიტაცია! ჩემთვის ეს კატასტროფაა!

მიმაჩნია, რომ არასწორია და დიდი შეცდომაა ამდენი ჯალათის „გადმოპორტირება“ „ოცნებაში“.

მე, პირადად, 2012 წლის ზაფხული მენატრება და სულ არ ვნანობ, რომ ბიძინა ივანიშვილის წყალობით მთელი საქართველო შემოვიარე!

ასე რომ, ნურსად ნუ მაწევრიანებთ!

მურუსიძე კი ჩემთვის – კატასტროფაა!

პეტრე კოლხი: „სიტყვას იმხელა ძალა აქვს, ცხოვრების სურვილს თავიდან გაგიჩენს!“

პოეტი პეტრე კოლხი დარწმუნებულია, რომ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, რადგან იოანეს სახარების მიხედვით, დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი:

– რა უნდა ინატრო იმაზე უკეთესი, ვიდრე მზრუნველი ადამიანის ყოფნა შენს გვერდით. ყველაფრისგან დაღლილს, არსებობის სურვილი რომ გეკარგება, იტყვი, აქ მთავრდება ყველაფერი და მოულოდნელად ვიღაც შეგიძახებს, გამოგაფხიზლებს და გათქმევინებს, რაღა დროს დასასრულია, აწი იწყება მთავარი...

მერე ხვდები, ცხოვრებიდან გაქცევა მხოლოდ სილაჩრეა, თორემ ჯერ რა გააკეთე იმის ფასი, რომ დასვენება გადაწყვიტო...

სიტყვას იმხელა ძალა აქვს, ცხოვრების სურვილს თავიდან გაგიჩენს!..

მიშო სულუხია ზურა დათუნაშვილს მხარდაჭერას უცხადებს

მომღერალი მიშო სულუხია სპორტსმენ ზურა დათუნაშვილს მხარდაჭერას უცხადებს:

– გაჩუმებით საქმე არ კეთდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ასე მკაფიო უსამართლობასთან გვაქვს.

ქვეყანაში არსებული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა, ხაზ გასმით – პრეზიდენტმა, ახალგაზრდა სპორტსმენი ხალხის თვალწინ ბლაგვი საგნით სცემა ისე, რომ სპორტსმენს ხალხის თვალწინ სისხლი სდიოდა...

და დღეს ის პიროვნება არამც თუ ჩამოშორებული არ არის ფედერაციას, არ არის საერთოდ დისკვალიფიცირებული სპორტიდან, არამედ არხეინად აგრძელებს მის საქმიანობას და გეგმაშიც არ დგას, რომ პასუხი აგოს არა მხოლოდ სპორტული სამყაროს წინაშე, არამედ კანონისა და იმ ადამიანებს წინაშე, ვინც მოწოდებული ვართ, რომ ქვეყანაში ძალადობის, გაუნათლებლობისა და სიბნელის სინდრომი ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს და ადამიანებს ცივილური ხერხებით შეგვეძლოს საკუთარი პოზიციების წარმოდგენა. აქ საუბარი მხოლოდ სპორტზე არ არის...

ჩვენ აუცილებლად უნდა დავუჭიროთ მხარი ჩემპიონს და ვაგრძნობინოთ, რომ ის მარტო არ არის.

ზურა ვადაჭკორია 58 წლის გახდებოდა

ილუზიონისტი ზურა ვადაჭკორია 58 წლის გახდებოდა. ეს არის პირველი დაბადების დღე მის გარეშე, რომელსაც მისი ოჯახი ხვდება.

მიმი ვადაჭკორია:

– პირველი დაბადების დღე, რაც ზურა აღარ არის. გილოცავ, მამა, ზეციურ საქართველოში. მენატრები.

ზურა ვადაჭკორია ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გასულ წელს გარდაიცვალა. ის თავისი შემოქმედებით ამტკიცებდა, რომ მისი საქმიანობა თაღლითობა და ტყუილი კი არა, დიდი ხელოვნება იყო:

– ილუზიონისტური ჟანრი განეკუთნება დიდ ხელოვნებას, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე ძვირადღირებული ხელოვნებაა. ვაფასებ ყველა ილუზიონისტს, რომელიც პროფესიულად და პატიოსნად ემსახურება საილუზიო ხელოვნებას.

ცხადია, ილუზიონისტმა უნდა იმუშაოს ფართო საზოგადოებისთვის, უფრო კი მათთვის, ვისაც ესმის ეს ხელოვნება.

ილუზიონისტმა მაყურებელი არ უნდა მოატყუოს, არამედ უნდა გააოცოს იგი. ის, ვინც მაყურებელს ატყუებს, ილუზიონისტის ნიღაბს ამოფარებული თაღლითია.

მისი გარდაცვალება ყველასთვის დიდი დანაკლისი იყო. ზურა ვადაჭკორიას მიმართ არავინ დაიშურა თბილი სიტყვები, თუმცა ლადო კახაძის მოკლე შეფასება მაინც ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა:

– იცხოვრა თავის წილი, ერთი იმდენი ჩვენში გაანაწილა და ჩვენშივე ჩასახლდა... თავისთვის თბილი კუთხე მოიწყო და... სამარადჟამო მოგზაურობაში გაემგზავრა... იქაც თავისი კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად... მშვიდობით, კეთილო მეზღაპრევ...

ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“ ლიტვაში დაიდგმება



ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „შვილის ნუკრი ნაამბობი“ ლიტვაში დაიდგმება. ეს იქნება ქართველი კლასიკოსის პირველი ევროპული დადგმა.

თბილისის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი შემოქმედებით ჯგუფთან ერთად სპექტაკლზე უკვე მუშაობს.

ინფორმაცია ამის შესახებ თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილმა გაავრცელა:

– ვაჟა-ფშაველა ლიტვაში!

ქართველი კლასიკოსის პირველი ევროპული დადგმა.

რეჟისორი ნიკა საბაშვილი. წარმატება ქართველ რეჟისორს და ქართული მოთხრობის სცენურ ინტერპრეტაციას ლიტვაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.6598
- ევრო — 3.0162
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4617
- 100 რუსული რუბლი — 4.0543

ამინდის პროგნოზი 26 თებერვლისთვის

22 თებერვლიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა საღალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

26 თებერვლიდან

თედო რაზიკაშვილი

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

1 მარტიდან

შოდერლო დე ლაკლო

სახიფათო კავშირები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

აზერბაიჯანელმა მოდელმა ქალწულობა დედის გამო გაყიდა

აზერბაიჯანელმა მოდელმა მახბუბა მამედზადემ განაცხადა, რომ მოიძებნა მისი ქალწულობის მყიდველი, რომელიც მზად არის ქალწულობაში ფული გადაიხადოს და უკვე ავანსიც კი გადაიხადა. ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, მამაკაცი გოგონას 2,4 მილიონ ევროს გადაუხდის.

გოგონამ ქალწულობის აუქციონზე გაყიდვის თაობაზე განცხადება გასული წლის აგვისტოში სპეციალურ გვერდზე განათავსა. გარდა ამისა, გოგონა, მისი პროფილის თანახმად, ეძებს მამაკაცს, რომელიც მზად იქნება თვეში 30 ათასი ევროს სანაცვლოდ მასთან იც-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

იუმორი

შვილი მამასთან მიდის და ეუბნება:

– მამა, იარაღი მომეცი, ომში უნდა წავიდე.

– მერ,ე სროლა იცი, შვილო?

– ვიცი, მამი.

მამამ იარაღი მისცა და ეუბნება:

– მიდი, ისროლე და დამარწმუნე, რომ სროლა იცი.

ბიჭმა გადმოიღო ავტომატი, მიუშვა საქათმეზე და რამდენიმე წამის შემდეგ ჰაერში მხოლოდ ბუმბულებიღა დაფარფატებდა.

– და ხელყუმბარის სროლა იცი? – ეკითხება მამა.

– ვიცი, მამა.

– აჰა და იმ საპირფარეშოს ესროლე.

ესროლა ბიჭმა და საპირფარეშო ჰაერში ასწია.

– კარგია, შვილო, კარგია, თორემ დედაშენისგან ქათმების გამო მაგრად მოგვხვდებოდა!

●●●

პატარა მიხო მასწავლებელს ეკითხება:

– მასწავლებელო, რამდენ ხანს ცოცხლობს ვირი?

– რატომ კითხულობ, რა, თავს ცუდად გრძნობ?

●●●

ერთი ბიჭი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემმა ყოფილმა მეგობარმა გოგონამ სმს გამომიგზავნა: „შეგიძლია, ჩემი ნომერი წაშალო.“

– მერე, შენ რა უპასუხე?

– „რომელი ხარ?“

●●●

მამაკაცი აფთიაქში გამყიდველს ეუბნება:

– პრეზერვატივების შეკვრა მომეცით.

– რა ზომის გნებავთ?

– ზუსტად არ ვიცი...

– მაშინ, აი რა, აიღეთ ეს დაფა სხვადასხვა ზომის ხვრელებით, შედით ტუალეტში და მოიზომეთ.

ათი წუთის შემდეგ მამაკაცი გამყიდველთან ბრუნდება და ეუბნება:

– იცით რა, გადავიფიქრე, პრეზერვატივები აღარ მინდა და ეს დაფა რა ღირს?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– სიგარეტი ქალივით არის.

– ეგ როგორ?

– როგორ და შენ ის გიყვარს, ის კი გკლავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კეპა არისაბალაგა: „სარის დიდ პატივს ვცემ. გაუგებრობა მოხდა“

ჩელსის და მანჩესტერ სიტის შეხვედრაში მომხდარი ინციდენტი მთელმა საფეხბურთო სამყარომ ნახა, როდესაც ჩელსის მეკარემ კეპა არისაბალაგამ მოედნიდან გასვლაზე უარი თქვა, რამაც მაურიციო სარი წყობიდან გამოიყვანა.

მატჩის შემდეგ კეპამ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ის სარის მიმართ მხოლოდ პატივისცემით არის განწყობილი და უბრალოდ გაუგებრობა მოხდა:

– სარის ეგონა, რომ ტრავმა მქონდა და ამიტომ გადაწყვიტა ჩემი შეცვლა. მე მას ხელით ვანიშნე, რომ თამაშს გავაგრძელებდი და ტრავმა არ მაწუხებდა. სარის დიდ პატივს ვცემ და, უბრალოდ, გაუგებრობა მოხდა.

საბოლოოდ ჩელსი სიტისთან პენალტების სერიაში დამარცხდა.

იურგენ კლოპი: „სალაჰს უკეთ შეუძლია თამაში“

ლივერპულმა სტუმრად მანჩესტერ იუნაიტედის დამარცხება ვერ შეძლო და მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა. ლივერპული მანჩესტერ სიტის მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს და წინ კიდევ 11 შეხვედრაა.

მატჩის შემდეგ ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ სალაჰს უკეთ უნდა ეთამაშა, თუმცა მის წინააღმდეგ მცველები კარგად მოქმედებდნენ.

– სალაჰს უფრო მეტი შეუძლია, მაგრამ მე არ მინდა, მას საყვედური ვუთხრა, რადგან მეტოქე გუნდის მცველები შესანიშნავად მოქმედებდნენ და მათ თითქმის არ მოგვცეს გოლის გატანის შანსი, – განაცხადა კლოპმა.

ლუის სუარესმა შესაძლოა ელ-კლასიკო გამოტოვოს

ბარსელონას ფორვარდმა ლუის სუარესმა სევილიასთან მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო. ეს ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ შესაძლოა სუარესს რეალთან შეხვედრის გამოტოვება მოუწიოს, რომელიც 27 თებერვალს გაიმართება.

სუარესმა ორშაბათს გუნდთან ერთად არ ივარჯიშა და მას ექიმები ყურადღებით აკვირდებიან.

ოთხშაბათს რეალი ბარსელონას ესპანეთის თასის განმეორებით შეხვედრაში უმასპინძლებს, 2 მარტს კი ეს ორი გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში დაუპირისპირდება ერთმანეთს.

მასიმილიანო ალეგრი იმედს არ კარგავს

იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ ბოლონიასთან გამარჯვების შემდეგ ატლეტიკოზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა, თუმცა ამის გაკეთება იოლი არ იქნება:

– მადრიდში უკეთ უნდა გვეთამაშა, მაგრამ რაც მოხდა, იმას უკვე ვეღარ შეცვლი. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია და ამისთვის ძალები არ უნდა დავიშუროთ. ჩემი გუნდის მჯერა და წინ კიდევ 90 წუთია.

იუვენტუსსა და მადრიდის ატლეტიკოს შორის განმეორებითი შეხვედრა 12 მარტს გაიმართება.

ბასილაშვილმა ხაჩანოვი დაამარცხა და მსოფლიოს მე-19 ჩოგანი გახდა

ნიკოლოზ ბასილაშვილმა დუბაიში მიმდინარე პრესტიჟულ ტურნირში რუსი კარენ ხაჩანოვი დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა. ნიკამ შეხვედრა ადვილად მოიგო, ანგარიშით 6:4, 6:1. ამ გამარჯვების შემდეგ ბასილაშვილი რეიტინგში მე-19 პოზიციაზე გადავიდა და ეს ადგილი მის კარიერაში ყველაზე მაღალია. ბასილაშვილის შემდეგი მეტოქე სავარაუდოდ ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელი ბაუტისტა აგუტი იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვორდი ১



შვეულად: 1. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 2. გამომწვარი თიხის ნაწარმი, რომელიც დაფარულია ჭიქურითა და ნახატით; 3. ქვიანი, ქვიშიანი ნიადაგი; 5. საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 7. სამცხის მმართველთა ტიტული; 9. საქართველოს მუზეუმებში დაცული ლუკას კრანახას ფერწერული ტილო; 13. ბატონის, მემამულის ქონების მმართველი ძველად; 15. კერძო პირის ან ორგანიზაციის კუთვნილი ქონების გამოყენების აკრძალვა; 16. უბანი თბილისში; 18. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი.

თარაზულად: 4. უდაბნოში მზარდი დაბალი ხე, ბუჩქი; 6. გეომეტრიული ფიგურა; 8. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 10. სამონასტრო კომპლექსი შიდა ქართლში; 11. ღამის ფრინველი; 12. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი ხვლიკი; 14. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 17. წყვილად აჭრილი ყურძნის მტევანი; 19. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 20. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; 21. შტატი აშშ-ში; 22. ყურძნის დასაწური ჭურჭელი; 23. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა